

საბა

საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე

№ 10

ოქტომბერი

2007

შარშანდელი სინოდის შედეგები
ბენედიქტე XVI-ის უწყება
მიშა ხანკალიანის ხელდასხმა
კონგრესი გუდაურში
ანდრეა პალერმოელი საქართველოში
ქრისტიანული სიმბოლოები

რედაქციის გვერდი

დამოწმებანი სინოდის წიგნიდან

ძვირფასო ქართველო ძმებო და დებო! შეგიძლიათ იამაყოთ იმით, რომ კათოლიკეები ხართ! თქვენ ხართ ქრისტეს ძმები, ღმრთის შვილები, სული წმიდა იმკვიდრებს თქვენში: თქვენ გწამთ წმიდა სამებისა და მისი სახელით მოინათლეთ, ე. ი. ჭეშმარიტი ქრისტიანები ხართ.

თქვენ ხართ უდიდესი საყოველთაო ეკლესიის წევრნი, ერთიანობაში მყოფნი პაპთან – პეტრესა და პავლეს მემკვიდრესთან. თქვენ იმ ეკლესიის წევრნი ხართ, რომელიც 2000 წელზე მეტია ცოცხლობს მრავალ წმიდანთან ერთად.

თქვენ შეერთებულნი ხართ მთელი მსოფლიოს მილიარდზე მეტ კათოლიკესთან, ამერიკიდან იაპონიამდე, ალიასკიდან ავსტრალიამდე... ესაა ყველაზე მრავალრიცხოვანი აღმსარებლობა მსოფლიოში: ყოველი მეექვსე ადამიანი მსოფლიოში კათოლიკეა.

შეგიძლიათ იამაყოთ თქვენი ბრწყინვალე წარსულით: დიდი ქართველი კომპოზიტორის, ზაქარია ფალიაშვილის, მუსიკაზე შეიქმნა საქართველოს ჰიმნი, კათოლიკეები იყვენენ უდიდესი ქართველი ისტორიკოსი მიხეილ თამარაშვილი, უნივერსიტეტის პირველი რექტორი პეტრე მელიქიშვილი და მრავალი სხვა სახელოვანი ადამიანი. დედოფალ ქეთევანს სიკვდილის წინ ნუგეშად კათოლიკე მისიონერები ჰყავდა გვერდით, ხოლო მისი ნეშტი კათოლიკე მისიონერებმა მოიპოვეს და მისი წმიდა ნაწილები საქართველოში ჩამოასვენეს.

ნუ გეშინიათ! თქვენ ჭეშმარიტებაში ცხოვრობთ. თუ დევნილნი ხართ ფანატიკოსების მიერ, თუ დაგცინიან, იკავებენ თქვენს ეკლესიებს და ცდილობენ თქვენი მამების რწმენის შეცვლას, იყავით მამაცნი და ერთგულნი. თქვენი ეკლესია ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულოა...

*მამა პიერ დიუმულენი,
სულხან-საბა ორბელიანის სახ. თეოლოგიის ინსტიტუტის რექტორი*

მადლობას ვწირავ ღმერთს საქართველოში კათოლიკე ეკლესიის სინოდის მადლისათვის. სინოდმა სულიერად და კულტურულად გამამდიდრა. როგორც წმ. პავლე გვეუბნება, იმისთვის, რომ შეიყვარო, უნდა შეიცნო, მოისმინო ის კარგი,

რასაც ყოველი ადამიანი აკეთებს და ასევე შეიცნო კათოლიკე საკრებულოების საჭიროება, სიძნელეები და პრობლემები. მიუხედავად იმისა, რომ ვარ ინდოელი ეროვნების უმცირესობის წარმომადგენელი, აღზრდა და რწმენა ყოველგვარი სირთულეების გარეშე მივიღე. ეს არ არის ჩემი დამსახურება, ეს ღმრთის მადლია. მსურს ყოველ კათოლიკეს მივმართო და ამით გამოვხატო ჩემი სურვილი და მილოცვა: არ ააშენოთ აგრესიით და სიძულვილით შენობა, რომელშიც არ არის სიცოცხლე, არამედ შეეცადეთ ააშენოთ ცოცხალი ეკლესია, ცოცხალი აგურებით, რაც ცოცხალ ადამიანს ნიშნავს, სული წმიდის ცოცხალი ტაძარი. ყოველდღე ჩვენს რწმენაში დავიცვათ ღმრთისა და ეკლესიის მცნებები. ეკლესიის ერთ-ერთი მთავარი მცნებაა, დაესწრო ყოველ კვირადღეს წმიდა წირვას, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ქრისტიანულად აღზრდისათვის. როგორც სინოდის ნაყოფი, საჭიროა დავესწროთ წმიდა წირვებს კვირაობით და კატეხიზაციას. ხშირად მღვდელი შორი მანძილიდან ჩამოდის, ყველანაირ მსხვერპლს იღებს, შედეგად კი ცარიელი ეკლესია ხვდება. ჩანს, რომ წმიდა წირვას არ ესწრება ყველა მორწმუნე. ყოველმა ადამიანმა უნდა იგრძნოს ის სირთულე და სიძნელე, როდესაც არ ასრულებს ამ მცნებას. გმადლობთ.

*და ელსი ტირუტანიტილი,
წმ. კამილოს ქალიშვილების კონგრეგაციის წარმომადგენელი*

სავსე ვარ ემოციებითა და ფიქრებით. დარწმუნებული ვარ, თქვენც იგივე მდგომარეობაში ხართ. მადლობას ვწირავ ღმერთს განსაკუთრებული გამოცდილების განცდისათვის. ასეთი რამ ჩემს ცხოვრებაში ჯერ არ ყოფილა. ამ პერიოდის განმავლობაში - 2005 წლის 2 დეკემბრიდან 2006 წლის 11 ნოემბრის ჩათვლით - სინოდის I სესიის დახურვამდე - დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით აღვივსე...

*თინა კოკოჩაშვილი,
თბილისის საკათედრო ტაძრის წარმომადგენელი*

სინოდმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ კათოლიკე ეკლესია არ ახდენს „ძალადობას“ ადამიანის თავისუფალ ნებაზე და არ თრგუნავს მის შეხედულებებსა და შესაძლებლობებს, არამედ საზოგადოებრივ თუ პიროვნულ აზრზე ზემოქმედებს სახარების სიღრმისეული გააზრებით, ქრისტეს მოძღვრების დამაჯერებელი და გულშიჩამწვდომი ქადაგებით. ის თავის მრევლს მოუხმობს და ღმრთისაკენ მიუძღვება, აქ ნებისმიერ ადამიანს ეძლევა შანსი, იპოვოს ხსნა სიყვარულში, სამართლისმოყვარეობაში, იმედში, მარადიულ სიყვარულში. კათოლიკე ეკლესია ძლიერია იმით, რომ არ ცრუობს, ცილს არ სწამებს, არავინ სძულს და არავის განიკითხავს, მიმტვევებელია და მომთმენი...

*მანანა ანდრიაძე,
სულხან-საბა ორბელიანის სახ. თეოლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელი*

ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, მივმართავ ქრისტეს ყველა მორწმუნეს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს!

სინოდის სესიებზე ყოფნისას მე ვიგრძენი ღმრთის დიდი და გულმოწყალე სიყვარული, როდესაც ვუსმენდი მოწვეულ სტუმრებს და ყველა სიტყვით გამომსვლელს. თითოეულ მათგანში ამოვიკითხე დიდი სურვილი და მისწრაფება ერთობის, მშვიდობისა და თანაზიარებისკენ.

ყოველივე ეს მოითხოვს მტკიცე ნებისყოფას ნებისმიერ ქარტეხილში, განსაკუთრებით ახალგაზრდების მხრივ, რომლებიც მუდმივად სიახლის

მაძიებელნი არიან. მათ უფრო მეტი ძალისხმევა სჭირდებათ მოთმინებისა და სიმტკიცისათვის. მიუხედავად ყოველგვარი ქარტეხილებისა, დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს კეთილ სურვილებში ღმერთი ყოველთვის ჩვენთანაა და გვამხნევეს; ხოლო რთულ მომენტებში იგი ხელში აყვანილი გვატარებს, რადაგან მას ჩვენ ძალიან ვუყვარვართ!

*თეონა ტატალაშვილი,
ახალგაზრდული საბჭოს წარმომადგენელი*

სულიწმიდამ გაგინათოთ გზა თქვენი სამრევლოების აღორძინებისა და ჭეშმარიტი მსახურებისათვის – „ქრისტეს სადიდებლად“. ჩვენი ამოცანაა, ვიყოთ ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში, რათა დავიცვათ ჩვენი სარწმუნოება და ავალორძინოთ ჩვენი საკრებულოები. წმ. პავლეს წერილში ღმერთის სიტყვა მკაფიო მითითებებს გვაძლევს (კოლ. 13. 12): ერთად შესაკრებად „მოწყალებით, სახიერებით, თავმდაბლობით, სიმშვიდით და მოთმინებით უნდა შევიმოსოთ“.

1. მოწყალებით უნდა შევიმოსოთ, რათა არავის მსაჯულად არ ვივრძნოთ თავი;
2. სახიერებით უნდა შევიმოსოთ, რათა სხვათა სასიკეთოდ ვიზრუნოთ;
3. თავმდაბლობით უნდა შევიმოსოთ, რათა გულით ვუსმინოთ ჩვენს გვერდით მდგომს;
4. სიმშვიდით უნდა შევიმოსოთ, რათა ერთიანობის დამყარება შევძლოთ;
5. მოთმინებით უნდა შევიმოსოთ, რათა მომავალს ღმერთის თვალებით ვუმზიროთ.

*ციცია კალანდია-კაჭკაჭიშვილი,
არალის ეკლესიის წარმომადგენელი*

დასრულდა საქართველოს ისტორიაში კათოლიკე ეკლესიის პირველი სინოდი. ყველა შეხვედრა მიმდინარეობდა ზედმიწევნით საქმიან ვითარებაში. აშკარად იგრძნობოდა სინოდის წევრთა დიდი პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისადმი, აქტიურობა, სურვილი, თავისი წვლილი შეეტანათ სინოდის, კათოლიკე ეკლესიის და მისი მრევლის – როგორც ქართული სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილის – წარმატებაში.

წინასწარ დასახული, სინოდზე განსახილველი სამი პრობლემა – ეკლესიის ერთიანობა, ფორმაცია და საერთო მონაწილეობა, ჩემი აზრით, წარმოადგენს სხვადასხვა კუთხიდან დანახულ ერთ მთავარ პრობლემას - საკრებულოებში რწმენის განმტკიცებას და მათ გააქტიურებას. რა თქმა უნდა, ეს არ არის იოლად გადასაწყვეტი ამოცანა, მას სჭირდება დიდი ძალისხმევა, ენერჯია, მოთმინება, სიმტკიცე, გონიერება და დრო...

*ვალერი ოცხელი,
ქუთაისის საკრებულოს წარმომადგენელი*

ცოტა ხნის წინ დასრულდა საქართველოში კათოლიკე ეკლესიის სინოდის მეორე სესია. ვფიქრობ, რომ ეს შეხვედრები კარგი შესაძლებლობა იყო, იმისათვის, რათა გვეფიქრა ჩვენს ეკლესიაზე, სხვადასხვა პრობლემებსა და მცირე წარმატებებზე. სესიის დასარულს ეპისკოპოსმა შეგვახსენა, რომ კათოლიკე ეკლესიას საქართველოში დიდი გზა აქვს გასავლელი და მჯერა, რომ სინოდის ყველა წევრი იმ გზაზე დგას, რომელიც უნდა გავიაროთ...

ამჯერად სინოდი გვიწვევს უფრო მეტი მოვალეობისკენ, უფრო მეტად გავიღოთ ჩვენი თავი, რათა ჩვენი კარიტასი, თავისი საქმეებით იყოს სახარების და მოყვასისადმი სიყვარულით აღვსილი მოწმეობა.

*მ. ვიტოლდ შულჩინსკი,
საქართველოს კარტასის დირექტორი*

ჩემს ოჯახსა და სანათესაოში არიან როგორც კათოლიკეები, ასევე მართლმადიდებელი ეკლესიის წევრები. ყველაფერი, რაც შეეხება ამ ორ ეკლესიასა და მრევლს შორის ურთიერთობას, ჩემთვის ორმაგად მნიშვნელოვანია.

მიხარია, რომ იმ მრავალ საკითხთა შორის, რომლებიც ჩვენ სინოდის მსვლელობის დროს განვიხილეთ და დეკრეტისა და მიმართულებების სახით მივიღეთ, დიდი ადგილი დაეთმო კათოლიკე ეკლესიისა და საქართველოს საპატრიარქოს შორის დაახლოებისა და ინტენსიური ურთიერთობების საკითხებს.

სასიხარულოა, რომ მიუხედავად არსებული ცალკეული პრობლემებისა, სინოდის თითქმის ყველა წევრი სიყვარულით საუბრობდა ჩვენი ურთიერთობების პერსპექტივებზე და სწორიც არის, რადგან ჩვენი საერთო მომავალი, ჩვენი ქვეყნის საერთო მომავალი ერთად უნდა ავაშენოთ.

*ელენე ადამოვა,
ასირიულ-ქალდეური წესის კათოლიკეთა საკრებულო*

სინოდის მუშაობამ დაგვიმტკიცა, კათოლიკეებს შორის ურთიერთსიყვარული და პატივისცემა სუფევს და რომ ყველა კათოლიკეს აქვს ერთი საზრუნავი: დაგვიბრუნოს საქართველოს საპატრიარქომ – მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით – მიტაცებული კათოლიკური ტაძრები.

შეწყდეს მართლმადიდებელი მამების ზოგიერთი უსამართლო და ყოველად დაუსაბუთებელი ცილისმწამებლური აგიტაცია; ყოველ ქართველს სურვილისამებრ შეეძლოს ილოცოს და მონათლოს ბავშვი მისთვის სასურველ ეკლესიაში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს „შერეულ“ ოჯახებს, რათა არასწორი აგიტაციით არ დაირღვეს მათი ოჯახური ურთიერთობა.

*სერგო ფეიქრიშვილი,
საკათედრო ტაძარი*

სინოდზე მე წარმოვადგენდი ასირიულ-ქალდეურ საკრებულოს (ქ. გარდაბანი). ბავშვობიდან მე და ჩემი ოჯახის ყველა წევრთან ერთად დავდიოდი ეკლესიაში. ჩვენ ყველანაირად ვეცადეთ გადაგვეცა ჩვენი ქრისტიანული ტრადიციები მოზრდილებისათვის...

*ჟანა ავროვეა,
ასირიულ-ქალდეური წესის კათოლიკეთა საკრებულო*

მადლობას ვუხდით მეუფე ჯუზეპე პაზოტოს იმ დიდი შრომისათვის, რაც მან სინოდის მოსამზადებლად და მისი მუშაობის უკეთ ორგანიზებისთვის გასწია და კიდევ, დიდი მოთმინებისათვის. მადლობა ყველას, ვინც ბევრი გააკეთა იმისათვის, რომ სინოდი ასე მოწესრიგებულად ჩატარებულიყო, ეს სიტყვები, ალბათ, სამდივნოსა და პრეზიდიუმს ეკუთვნის უპირველესად.

სინოდმა დამანახა, თუ რა ძლიერი უნდა იყოს ჩვენში ქრისტეს სიყვარული! კათოლიკე ეკლესია ძლიერი იქნება, თუ ვისწავლით ქრისტიანულ ცხოვრებას, ვისწავლით მიმტევებლობასა და ურთიერთპატივისცემას.

მზია ჭანაშვილი,

კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში

მისი უწმიდესობის, ბენედიქტე XVI-ის,
უწყება მსოფლიო სამისიონერო დღესთან დაკავშირებით

ყველა ეკლესიას მთელს მსოფლიოში

საყვარელო ძმანო და დანო,

მომავალ მსოფლიო სამისიონერო დღესთან დაკავშირებით მსურს მოგიხმოდ ღმრთის მთელი ერი: მწყემსები, მღვდლები, ბერ-მონაზვნები, საერო პირები, რომ ერთად დაეფიქრდეთ იმ აუცილებლობაზე და მნიშვნელობაზე, რაც ჩვენს დღეებშიც ენიჭება ეკლესიის სამისიონერო საქმიანობას. კვლავაც საყოველთაო მოხმობად და სიღრმისეულ მოწოდებად გაისმის ის სიტყვები, რითაც იესო ქრისტემ, ჯვარცმულმა და აღმდგარმა, ზეცად ამადლებამდე გადასცა მოციქულებს სამისიონერო მოწოდება: “წადით და მოიმოწაფეთ ყველა ხალხი, მონათლეთ ისინი მამისა და ძისა და სულიწმიდის სახელით, ასწავლეთ მათ ყოვლივეს დაცვა, რაც მე გამცნეთ” – და დაამატა: “აჰა, მე თქვენთანა ვარ ყოველდღე, საუკუნის დასასრულამდე” (მთ. 28:19-20). ევანგელიზაციის ამ საპასუხისმგებლო საქმეში გვამხნევენ და შეგვეწევა რწმენა იმისა, რომ იგი, სამკალის პატრონი, ჩვენს გვერდით არის და დაუდგრომლად მიუძღვის თავის ხალხს. ქრისტე ეკლესიის მისიის უშრეტე წყაროა. არის კიდევ ერთი მიზეზი, რაც წლევანდელ წელს განახლებული სამისიონერო მოვალეობისაკენ გვიბიძგებს: ახლოვდება მონა ღმრთისა, პიუს XII-ის, ენციკლიკის “Fidei donum”-ის 50-ე წლისთავის იუბილე, რისი წყალობითაც წახალისდა და გამხნედა ეკლესიათა შორის თანამშრომლობა ხალხთა მისიონერებაში *ad gentes*.

“ყველა ეკლესია მთელს მსოფლიოში”: ეს თემა შეირჩა მომავალი მსოფლიო სამისიონერო დღისათვის. ის ყველა კონტინენტის ადგილობრივ ეკლესიას იხმობს, რომ ერთად გააცნობიერონ ყოვლად გადაუდებელი მოთხოვნა – თანამდროვეობის მრავალგვარი და სერიოზული გამოწვევების გვერდით გაძლიერდეს სამისიონერო საქმიანობა. ცხადია, შეცვლილია ის პირობები, რომლებშიც დღეს კაცობრიობას უწევს ცხოვრება, და ამ ათწლეულებში დიდი ძალისხმევა შესრულდა სახარების გასავრცელებლად, განსაკუთრებით, ვატიკანის II კრების შემდგომ. თუმცა ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი იმისათვის, რათა პასუხი გაეცეს სამისიონერო მოწოდებას, რითაც დაუცხრომლად იხმობს უფალი ნათელდებულს. პირველ რიგში, ის კვლავ მოიხმობს ე. წ. უძველესი ტრადიციების ეკლესიებს, რომლებმაც წარსულში ღმრთის წილი გაიღეს სამისიონერო საქმეში, როგორც მატერიალური საშუალებებით, ასევე მღვდლების, სასულიერო და საერო პირების მრავალრიცხოვანი არმიით, რამაც სათავე დაუდო ქრისტიანულ საკრებულოთა შორის ნაყოფიერ თანამშრომლობას. ამ თანაზიარებიდან უხვად წარმოდგებოდა სამოციქულო ნაყოფი, როგორც სამისიონერო ქვეყნებში ახალი ეკლესიების სასიკეთოდ, ასევე იმ საეკლესიო რეალობისთვის, საიდანაც თავად მისიონერები მოდიოდნენ. თუ გავითვალისწინებთ სეკულარული კულტურის პროგრესს, რაც უფრო მეტად მოიცავს დასავლურ საზოგადოებას, ასევე ოჯახის კრიზისს, მოწოდებების სიმწირეს და სამღვდლოების პროგრესულ დაბერებას, – ამ ეკლესიებს ექმნებათ საფრთხე საკუთარ ნაჭუჭში ჩაიკეტონ, მომავალს იმედსმოკლებული მზერით უცქირონ და თავიანთი სამისიონერო ძალები მოადუნონ. მაგრამ, სწორედ ახლა დგას ღმრთის განგებულებაში იმედიანი

გულგახსნილობის უამი; ღმრთისა, რომელიც არასოდეს მიატოვებს თავის ხალხს და რომელიც, სული წმიდის ძლიერებით გაუძღვება მას საუკუნო ხსნის ჩანაფიქრის აღსასრულებლად.

ხალხთა მისიაში *missio ad gentes* – სულგრძელი მოღვაწეობისთვის, *კეთილი მწყემსი* ეკლესიებს იხმობს ახალ ევანგელიზაციაში. განვითარების პროცესში შექმნილი მრავალი სიმნელისა და დაბრკოლების მიუხედავად, ეს საკრებულოები მუდმივად იზრდება. ზოგნი, საბედნიეროდ, უხვად იკრებენ მღვდლებს და ღმრთივშეწირულ პიროვნებებს, რომელთაგან არცთუ ცოტანი, ადგილზე არსებული მრავალი საჭიროების მიუხედავად, მაინც იგზავნიან თავიანთი სამოძღვრო მისიის და თავიანთი მსახურების შესასრულებლად სხვა მიწაზე, თვით უძველესი ევანგელიზაციის მიწებზეც. ამგვარად სრულდება “ურთიერთგაცვლა განგებულების მადლისა”, რაც წყალობად უბრუნდება ქრისტეს მთელ მისტიკურ სხეულს. მსურვალედ მწადია, რომ სამისიონერო თანამშრომლობა უფრო მეტად გაძლიერდეს, შეფასდეს თითოეულის ქარიზმა და შესაძლებლობა. ასევე მწადია, რომ მსოფლიო სამისიონერო დღის საშუალებით ყველა ქრისტიანულმა საკრებულომ და ყველა მონათლულმა შეიგნოს, რომ ქრისტეს მოწოდება არის საყოველთაო ხასიათისა დედამიწის კიდით კიდემდე მისი სასუფევლის გასავრცელებლად. “*ეკლესია ბუნებით მისიონერია*, – წერდა პაპი იოანე პავლე II თავის ენციკლიკაში *Redemptoris missio*, – რაკი *ქრისტეს მანდატი არ არის რაღაც შემთხვევითი და მოჩვენებითი, ის თავად ეკლესიის გულში აღწევს. აქედან გამომდინარე, რომ მთელი ეკლესია და ცალკეული ეკლესია ხალხთან წარგზავნილია. ასევე ახალგაზრდა ეკლესიებმაც, უწინდებურად უნდა გაიზიარონ საყოველთაო ეკლესიის მისია და თუნდაც ისინი სამღვდელობის სიმწირეს განიცდიდნენ, თავადაც უნდა წარგზავნონ მისიონერები, რათა მთელს მსოფლიოში იქადაგონ სახარება*”.

ჩემი წინამორბედის პიუს XII-ის ენციკლიკით “*Fidei donum*”-ის ისტორიული მოწოდებიდან ორმოცდაათი წლის გასვლის შემდეგ, მსურს განვაცხადო, რომ სახარების უწყებას არ დაუკარგავს აქტუალურობის და აუცილებლობის თვისებები. ციტირებულ ენციკლიკაში *Redemptoris missio*, პაპი იოანე პავლე II, თავის მხრივ, აცხადებს, რომ “*ეკლესიის მისია გაცილებით უფრო ფართოა ვიდრე „ეკლესიათა ზიარება“; ეს უწინარესად ორიენტირებული უნდა იყოს სპეციფიკური მისიონერობის გრძნობით*”.

ამიტომაც რჩება მისიონერული მოვალეობა, როგორც არაერთხელ თქმულა, პირველ მსახურებად, რაც ეკლესიამ უნდა გასწიოს დღევანდელ კაცობრიობაში, რათა გეზი მისცეს და მოახდინოს კულტურული, სოციალური და ეთიკური ტრანსფორმაციების ევანგელიზება; ქრისტეს ხსნა უბოძოს ჩვენი დროის ადამიანებს, დედამიწის მრავალ კუთხეში ადგილობრივი სიღარიბის, ძალადობის, ადამიანთა უფლებების მუდმივი შელახვის მიზეზით დამცირებულ და ჩაგრულ პირობებში მყოფებს.

ეკლესია გვერდზე ვერ განუდგება ამ საყოველთაო მისიას; ამისათვის მას აუცილებელი ძალა სჭირდება. ქრისტემ, პირველ რიგში, პეტრე და მოციქულები მიაველინა მისიაში. დღეს იგივე ევალება, უწინარესად, პეტრეს მემკვიდრეს, რომელიც ღმრთაებრივი განგების ძალით აირჩა ეკლესიის ერთიანობის ხილულ საძირკველად, და ასევე ეპისკოპოსებს – ევანგელიზაციის უშუალო პასუხისმგებლებს, – როგორც ეპისკოპოსთა კოლეგიუმის წევრებს, ასევე ადგილობრივი ეკლესიების მწყემსებს. სწორედ ამიტომ მივმართავ ყველა ეკლესიას, რომლებიც უფალმა დააყენა თავისი ფარის ერთადერთ წინამძღოლად, რათა გაიზიარონ სახარების უწყებისა და გავრცელების საზრუნავი. სწორედ ამ ზრუნვამ უბიძგა ორმოცდაათი წლის წინათ მონას ღმრთისას პიუს XII-ს, რათა მისიონერული თანამშრომლობა უფრო მეტად ექცია

დროის მოთხოვნების შესატყვისად. ევანგელიზაციის სამომავლო პერპექტივების კუთხით, მან უმეტესად უძველესი ევანგელიზაციის საკრებულოებს მოთხოვა მღვდლების გაგზავნა ახლადშობილი ეკლესიების მხარდასაჭერად. ასე დაედო სათავე ახალ “მისიონერულ სუბიექტს”, რომელიც სწორედ ენციკლიკის პირველივე სიტყვებიდან იღებს სახელს *“idei donum”*. ამასთან დაკავშირებით შემდეგს წერდა: *“ვითვალისწინებთ, ერთი მხრივ, ჩვენი შვილების იმ მრავალრიცხოვან გუნდს, რომლებიც უმეტესწილად უძველესი ქრისტიანული ტრადიციის ქვეყნებში ეზიარებიან რწმენის წყალობებს, და მეორეს მხრივ, იმ ურიცხვ არმიას, ჯერ კიდევ ხსნიის მოლოდინში რომ იმყოფებიან, მხურვალედ მოვიწოდებთ, საყვარელო ძმანო, თქვენი გულმოდგინებით უქომაგოთ მსოფლიოში ეკლესიის გავრცელების ამ წმიდა მიზეზს”*. და იქვე დასძენდა: *“ღმერთს ნებავს, რომ ჩვენი მოწოდების შედეგად მისიონერულმა სულმა ღრმად შეაღწიოს ყველა მღვდლის გულში და მათი მსახურების მეშვეობით აღენთოს ყოველი მორწმუნე”*.

მადლობა უფალს იმ უხვი ნაყოფის გამო, რასაც აფრიკაში და დედამიწის სხვადასხვა კუთხეში სამისიონერო თანამშრომლობიდან ვიმკით. მღვდელმსახურთა გუნდი, ტოვებდნენ რა თავიანთ საკრებულოებს, თავიანთ სამოციქულო ენერგიას სიღარიბის ზონაში და განვითარების გზაზე მყოფი ახლახნობილი საკრებულოების მსახურებაში აყენებდნენ. მათ შორის ცოტა როდია წამებული, რომლებმაც სიტყვიერი მოწმეობით და სამოციქულო თავგანწირვით მსხვერპლად გაიღო სიცოცხლე. ვერც იმ ურიცხვ ბერ-მონაზონებსა და მოხალისე ერისკაცებს დავივიწყებთ, რომლებიც მღვდლებთან ერთად სახარების გასავრცელებლად გაემშურნენ დედამიწის უკიდურეს ადგილებში.

მსოფლიო სამისიონერო დღე უნდა იქცეს იმის პირობად, რომ ლოცვაში მოვიგონოთ ჩვენი მორწმუნე და-ძმები და ყველა ისინი, რომლებიც კვლავ იღწვიან ფართო სამისიონერო ასპარეზზე. ვთხოვოთ ღმერთს, რათა მათი მაგალითი ყველგან იწვევდეს ახალ მოწოდებებს და განახლებულ სამისიონერო შეგნებას ქრისტიან ხალხში. ყოველი ქრისტიანული საკრებულო მისიონერად იბადება, და სწორედ ევანგელიზაციის საფუძველზე იზომება მორწმუნეთა სიყვარული თავიანთი უფლისადმი. მხოლოდ ასე შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ცალკეული მორწმუნე უბრალოდ კი არ თანამშრომლობს სახარების გავრცელების საქმეში, არამედ ეკლესიის მისიის მთავარ გმირად და პასუხისმგებლებლად შეიგრძნობს თავს. ამგვარ თანაპასუხისმგებლობას შედეგად მოჰყვება საკრებულოებს შორის ზიარების გაღრმავება და ურთიერთდახმარება როგორც პიროვნებებით (მღვდლები, ბერ-მონაზონები, მოხალისეები), ასევე იმ საშუალებების გამოყენებით, რაც აუცილებელია ევანგელიზაციისთვის.

ძვირფასო ძმანო და დანო, ქრისტეს მიერ მოციქულებზე მინდობილი სამისიონერო მანდატი ნამდვილად ყველა ადამიანს ეხება. მსოფლიო სამისიონერო დღე ხელსაყრელი მომენტია, რათა უფრო მეტად გავაცნობიეროთ და ერთად შევიმუშაოთ სათანადო სულიერი და ფორმაციული მიმართულებები, რაც ხელს შეუწყობს ამჟამად ეკლესიათა შორის თანამშრომლობას და ახალ-ახალ მისიონერულ მომზადებას ევანგელიზაციისთვის. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ პირველი და პრიორიტეტული წვლილი, რაც ეკლესიის სამისიონერო საქმეში უნდა გაიღოს, არის ლოცვა-ვედრება. *“სამკალი ბევრია, მუშაკნი ცოტა, – ამბობს უფალი, – ევედრეთ სამკალის პატრონს, რომ მოავლინოს მუშაკები თავის სამკალში”* (ლუკ. 10:2). „პირველ ადგილზე, – წერდა ორმოცდაათი წლის წინათ პაპი პიუს XII თავის ენციკლიკაში, – ამრიგად, ილოცეთ, ძვირფასო ძმანო, უფრო მეტად ილოცეთ. განხსოვდეთ უამრავი ხალხის უკიდევანო სულიერი საჭიროებანი, რომლებიც ჯერ კიდევ

შორს დგანან ჭეშმარიტი რწმენიდან, ან დახმარებას ვერ იღებენ მათ დასაცავად”. და მოუწოდებდა მათ წირვების მრავლად აღვლენას სამისიონერო საქმეებისთვის, რათა გაეცნობიერებინათ, რომ „ეს უპასუხებს უფლის სურვილებს, რომელსაც უყვარს თავისი ეკლესია და სურს იხილოს იგი აყვავებული და გაავრცელებული დედამიწის ყოველ კუთხეში”.

ბეირფასო ძმანო და დანო, მეც განვაახლებ ამ ერთობ აქტუალურ მოწოდებას. დაე, ყველა საკრებულოს მოეფინოს ეს ერთობლივი ვედრება: **“მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა”**, რათა მოვიდეს სუფევა დედამიწაზე. განსაკუთრებით მოვუხმობ ბავშვებს და ახალგაზრდებს, ყოველთვის მზად რომ არიან სულგრძელი სამისიონერო ნაბიჯებისთვის. მივმართავ ავადმყოფებს და ტანჯულებს, შევახსენებ, თუ რაოდენ ფასეულია მათი მისტიკური და უცილობელი თანამშრომლობა ღმრთაებრივი ხსნის საქმეში; მოვუხმობ ღმრთივშეწირულებს და, განსაკუთრებით, ჩაკეტილ მონასტრებს, რათა მხურვალედ ილოცონ მისიონერობისთვის. თითოეული მორწმუნის მოვალეობის წყალობით მთელ ეკლესიაში იზრდება ღოცვის სულიერი ქსელი სახარების გასავრცელებლად. ქალწული მარიაში, რომელიც დედობრივი შეწევნით მფარველობს ახალადშობილი ეკლესიის გზას, დაე, ამჯერადაც წარუძღვეს ჩვენს ნაბიჯებს და მოგვანიჭოს სიყვარულის ახალი სულთმოფენობა; მეტი ძალისხმევით შეგვაცნოს, რომ ჩვენ ყველანი მისიონერები ვართ, ანუ უფლის გზავნილები, რათა მისი მოწმენი ვიყოთ ჩვენი ცხოვრებით; მღვდლებს “*idei donum*”, ბერ-მონაზვნებს, სასულიერო და საერო პირებს, ევანგელიზაციის ბარიკადებზე მყოფებს, ასევე იმათ, რომლებიც სხვადასხვა ფორმით უძღვნიან თავს სახარების უწყებას – ყოველ მათგანს ვპირდები ჩემს ყოველდღიურ ღოცვას, და ყველას სიყვარულით ვაძლევ სამოციქულო კურთხევას.

პაპი ბენედიქტე XVI

ვატიკანი

27 მაისი 2007, სულთმოფენობა.

წმიდა მამის ორი პილიგრიმობა

სექტემბრის დასაწყისი ორი მნიშვნელოვანი მოვლენით აღინიშნა – 1-2 სექტემბერს ბენედიქტე XVI ღორეტოს ეწვია იტალიელ ახალგაზრობასთან შესახვედრად, ხოლო 7-9 სექტემბერს მან ავსტრია მოინახულა.

ღორეტო ქრისტიანთა უწმიდესი ადგილია. სწორედ აქ სუფევს ერთ დროს ნაზარეთში აგებული პატარა სახლი, სადაც ღმრთისმშობელი იშვა და რომელიც შუა საუკუნეებში სასწაულებრივად აღმოჩნდა იტალიის ამ პატარა ქალაქში.

ღორეტოში უზენაეს პონტიფექსს სამასი ათასი ახალგაზრდა ელოდა. როგორც ჟურნალ **კიეზას** ცნობილი მიმომხილველი სანდრო მაჯისტერი აღნიშნავს, განსაკუთრებით შთამბეჭდავი აღსარების საიდუმლო იყო, რომელიც 24 საათის განმავლობაში უწყვეტად გრძელდებოდა – მღვდლები მთელი ღამის განმავლობაში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ.

პონტიფექსის ქადაგება, როგორც ყოველთვის, უბრალო, სადა, ღრმა და უკომპრომისო იყო. ბენედიქტე XVI-ის სიტყვის მთავარი უწყება ამგვარად შეიძლება ჩამოყალიბდეს: არ მიესადაგოთ თანამედროვე სულისკვეთებას, რომ წარმატება ყველაფერია და რომ წარმატებას ნებისმიერი ხერხით უნდა მიაღწიო! უმთავრესი, პონტიფექსის სიტყვით, გულმოწყალება და თანაგრძნობაა. მან ახალგაზრდებს ქრისტეს მიბაძვისკენ მოუწოდა, რაც კიდევ ერთხელ გაიმეორა მესის შემდეგ გამართული დიალოგისას, რომლის დროსაც მას რამდენიმე შეკითხვა დაუსვეს. განსაკუთრებით საყურადღებო იყო წმიდა მამის პასუხი შეკითხვაზე, თუ რა უნდა იღონონ პერიფერიებში მცხოვრებმა ახალგაზრდებმა,

რომლებიც მოკლებულნი არიან არსებობის ნორმალურ პირობებსა და ვერ ხედავენ სიცოცხლის საზრისს – ვერ ხედავენ საკუთარი ყოფნის საჭიროებას.

პონტიფექსმა შეკითხვას ამგვარად უპასუხა: მხოლოდ ქრისტესთან შეხვედრა და ურთიერთობა, მხოლოდ სიღრმისეული დიალოგი ღმერთთან დაგვანახებს, რომ სადაც ქრისტეა, იქ არ არსებობს პერიფერია, თუ ჩვენ შევძლებთ ღმერთთან სიღრმისეულ დიალოგს, მაშინ ყველაგან ქრისტე იქნება, რადგან ისაა ჩვენი ცხოვრების ცენტრი.

ავსტრიაში გამგზავრების წინ ბენედიქტე XVI-მ ძალიან მოკლედ აღნიშნა, რომ მისი მოგზაურობის არსი პილიგრიმობაა. მართლაც, მან საგანგებოდ მოინახულა მარიაცელის ღმრთისმშობლის სამლოცველო, რომელსაც 850 წელი შეუსრულდა. მარიაცელი წმინდა ადგილია არა მხოლოდ ავსტრიელთათვის, არამედ – უნგრელებისა და აღმოსავლელი სლავებისთვისაც. წმიდა მამამ მოინახულა, აგრეთვე, ჰაილიგენკროიცში არსებული ცისტერციელ ბერთა მონასტერი.

9 სექტემბერს ბენედიქტე XVI-მ საკვირაო მესა ვენის წმიდა სტეფანე პირველმოწამის საკათედრო ტაძარში აღასრულა. მიუხედავად გადაუღებელი წვიმისა, ეკლესიის გარშემო ათი ათასობით მორწმუნემ მოიყარა თავი. წმიდა მამის ქადაგება საკვირაო წირვის მნიშვნელობას მიეძღვნა.

პონტიფექსმა თავისი სიტყვა ამგვარად დაიწყო:

“Sine dominico non possumus!” – ღმერთის ამ ძღვენის გარეშე – უფლის დღის გარეშე – ჩვენ ვერ ვიცოცხლებთ: ასეთი იყო 304 წელს აბეტინელ (თანამედროვე ტუნისის ტერიტორია) მორწმუნეთა პასუხი, როდესაც ისინი რომაელთა მიერ აკრძალული საკვირაო ექპარისატიული დღესასწაულის აღსრულებისას შეიპყრეს. მოსამართლემ მათ ჰკითხა, თუ რატომ აღასრულებდნენ წირვას – მათ ხომ უნდა სცოდნოდათ, რომ ეს სიკდილით ისჯებოდა! *Sine dominico non possumus* – ამგვარი იყო მორწმუნეთა პასუხი. სიტყვა – *dominicum/dominico* – ორ მნიშვნელობას შეიცავს, რომლებიც უერთიერთგადაჯაჭვულია, და ჩვენ ველდებულნი ვართ, კიდევ ერთხელ დავინახოთ ეს ერთიანობა: ერთი მხრივ, კვირა [*ქართული სიტყვა “კვირა” – ბერძნული სიტყვიდან – “კურიოს” (უფალი) – მომდინარებს – ზ. შ.]* უფლის ძღვენია, ხოლო ძღვენი თვითონ უფალია – აღმდგარი უფალი, რომელთანაც სიახლოვე და ურთიერთობა ქრისტიანებს სჭირდებათ, რათა ისინი ქრისტიანებად დარჩნენ.

მაგრამ ეს ურთიერთობა მხოლოდ სულიერი, შინაგანი და სუბიექტური როდია – უფალთან შეხვედრის დღე დროშია აღბეჭდილი სრულიად გარკვეულ დღეს. ამდენად, ის აღბეჭდილია ჩვენს კონკრეტულ, ხორციელ და სამრევლო ყოფნაში, რომელიც დროითობის ნიშანს ატარებს. კვირა ანიჭებს შინაგან წესრიგსა და ცენტრს ჩვენს დროს, თითოეული ჩვენგანის მთელ ცხოვრებას. აბეტინელ ქრისტიანთათვის საკვირაო ექპარისტია იყო არა მოვალეობა, არამედ – შინაგანი აუცილებლობა, რადგანაც მის გარეშე, ვისაც ჩვენი ცხოვრება ხელთ უპყრია, სოცოხლე ცარიელია. ამ ცენტრის დავიწყება და დალატი ჩვენს ცხოვრებას საძირკველს უნგრევს, ღირსების გრძობასა და მშვენიერებას აკარგვინებს.

მნიშვნელოვანია, თუ არა იმ ძველ ქრისტიანთა პასუხი ჩვენთვის – თანამედროვე ქრისტიანთათვის? – დიახ, რა თქმა უნდა, რადგანაც ჩვენც გვიჭრდება ის ურთიერთობა, რომელიც განსაზღვარვს ჩვენს ცხოვრებას, რომელიც მიმართულებასა და შინაარსს ანიჭებს ჩვენს ყოფნას! ჩვენც გვჭირდება აღმდგარი უფალი, რომელიც ჩვენი საყრდენია სიცოცხლესა და სიკვდილშიც. ჩვენ გვჭირდება ეს შეხვედრა, რომელიც ერთმანეთთან გვაახლოვებს, რომელიც თავისუფლების სივრცეს გვანიჭებს, რომელიც

საშუალებას გვაძლევს, გავცდეთ ყოველდღიურობის ფუსფუსს და უფლის მოქმედ სიყვარულს მივმართოთ, იმ სიყვარულს, საიდანაც მოვდივართ და საითკენაც მივემართებით.”

დასასრულ, წმიდა მამამ აღნიშნა:

“*Sine dominico non possumus!*” უფლისა და უფლის დღის გარეშე სიცოცხლე არ იფურჩქნება. კვირა ჩვენს დასავლურ საზოგადოებებში უიქენდად და თავისუფალ დროდ იქცა. თავისუფალი დრო, თავისთავად, კარგიცაა და აუცილებელიც – განსაკუთრებით თანამედროვე თავბრუდამხვევ სამყაროში – თითოეული ჩვენგანს ეს კარგად მოეხსენება. მაგრამ თუ თავისუფალ დროს შინაგანი საყრდენი და ძირეული მიმართულების განცდა აკლია, მაშინ, საბოლოოდ, ეს დრო ცარიელდება, და ის ვერც აღგვადგენს და ვერც გაგვაძლიერებს. მოცალეობის დროს ცენტრი ესაჭიროება – შეხვედრა იმასთან, ვინც ჩვენი ცხოვრების საწყისი და მიზანია. ჩემმა დიდმა წინამორბედმა მიუნხენისა და ფრაიზინგის საეპისკოპოსო ტახტზე – კარდინალმა ფაულჰაბერმა ერთხელ ასეთი რამ წარმოთქვა: “ჩაბერეთ სულს თავისი კვირა, ჩაბერეთ კვირას თავისი სული!”

ზაზა შათირიშვილი

კათოლიკე ეკლესია საქართველოში

ვალეს ეკლესიის დღესასწაული

მარიამ ღმრთისმშობლის შობის დღე ვალეს ეკლესიის დღესასწაულია და ვალეს სამრევლო მას განსაკუთრებულად აღნიშნავს საქართველოს სხვა კათოლიკურ საკრებულოებთან ერთად.

8 სექტემბერს, ჩვეულებისამებრ, ვალეში უამრავმა სტუმარმა მოიყარა თავი და ჩვენი ზეიმი სამხრეთის საკრებულოების მრავალმა მორწმუნემ გაიზიარა. იმუამდ ვალეში მოხალისეთა ჯგუფიც იმყოფებოდა და ღორედანასთან ერთად. აღსანიშნავია, რომ მათ დიდი წვილი შეიტანეს ჩვენი ზეიმის მომზადებაში. სამწუხაროდ, იმ დღეს, მიხეილ ხაჩკალიანის დიაკვნად კურთხევის გამო, ჩვენთან არ იმყოფებოდა ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო, მაგრამ მამა ანდრეიმ მისი გულითადი მოლოცვა ჩამოგვიტანა.

ხალხის სიმრავლის გამო, წმიდა წირვა ეკლესიის ეზოში აღევლინა, ამინდიც ძალიან კარგი იყო, მშვენიერი და გულშიჩამწვდომი საგალობლები კი ალამაზებდა და მეტ სიმშვენიერესა და სულიერებას მატებდა წმ. წირვას.

მამა ანდრეის ქადაგება ძალიან შთამბეჭდავი და ამაღლებული იყო. მან ისაუბრა ქრისტიანის ცხოვრებაში ღმრთისმშობლის უდიდეს მნიშვნელობაზე.

წმ. წირვის დასასრულს ვალეს საკრებულოს მგალობელმა გოგონებმა მშვენიერი კონცერტი მიუძღვნეს მსმენელებს, შემდეგ კი ვალელები ყველას გერიელი სადილით გაუმასპინძლდნენ. ეს დღე ერთ-ერთი დასამახსოვრებელი იქნება ვალეს სამრევლოსათვის.

თამრიკო ჩიტაშვილი

კიდევ ერთი დაუვიწყარი მომლოცველობა

ძნელია, ქაღალდზე გადაიტანო ყველა ის გრძნობა, ემოცია და განცდა, რაც დაკავშირებულია მომლოცველობასთან, რომელიც შეასრულა წმ. პეტრესა

და წმ. პავლეს ეკლესიის მრევლის სხვადასხვა ასაკის 30 კაციანმა ჯგუფმა. ჯგუფს თან ახლდნენ ეკლესიის წინამძღვარი მამა ადამ ოხალი და მოძღვარი მანგი მამაი. ჯგუფი გაემგზავრა იტალიის ქ. ლორეტოში, პაპი ბენედიქტე XVI-ის ახალგაზრდებთან შეხვედრასთან დაკავშირებით.

ჩვენი მომლოცველობა გამგზავრებამდე ერთი დღით ადრე დაიწყო მონანიების ლიტურგიით, რომლის დროსაც თითოეულ ჩვენთაგანს შესაძლებლობა ჰქონდა მოეშორებინა ცოდვისა და შიშის ტვირთი, რომელიც გვაშორებდა ღმერთს – იესო ქრისტეს.

რომში ჩასვლის პირველსავე დღეს მოვილოცეთ ბაზილიკა “Tre fontane”, ადგილი, სადაც წმ. პავლეს თავი მოჰკვეთეს. ლეგენდის თანახმად, იქ, სადაც მოკვეთილი თავი შეეხო მიწას, ამოხეთქა წყლის სამმა შადრევანმა. ეს იყო პირველი შეჯახება ისტორიასთან, რომელიც იმის საფუძველი გახდა, რომ შემდგომ უკეთ გაგვეგო რომის პაპის სიტყვები: „იარეთ წინ, მძიმე სიტუაციებშიც. სამყარო უნდა შეიცვალოს, მისი შეცვლა კი ახალგაზრდების მისიაა. იარეთ, იცხოვრეთ და შეიყვარეთ! ღმრთის თვალში თითოეული თქვენთაგანი მნიშვნელოვანია!“

მოგზაურობის შემდეგი ეტაპი იყო ევქარისტია ეპისკოპოსთან და მრავალრიცხოვან მღვდლებთან ერთად ქ. ფაბრიანოში (ლორეტოს მახლობლად). შეუძლებელია დიდი სიხარული და აღფრთოვანება არ განგეცადა საკათედრო ტაძარში აღვლენილი ასეთი საზეიმო და ცოცხალი წირვისაგან, რომლის მონაწილეები იყვნენ მხიარული მომლოცველები სხვადასხვა ქვეყნებიდან და თავიანთ ემოციებს სიმღერითა და ტაშით გამოხატავდნენ. წირვის შემდეგ კი საზეიმო ვახშამი და კონცერტი გველოდა.

მომდევნო დღიდან დაიწყო ის ეტაპი, რომელსაც შეიძლება ხმამაღლა უწოდო მომლოცველობა – პაპთან, ბენედიქტე XVI-თან შეხვედრა.

ჩვენი თვალსაზრისით გამოვყოფთ სამ მომენტს, რომელიც დაახასიათებდა ამ ორ მნიშვნელოვან დღეს: ესაა მხნეობა და ზეიმი საკვირაო ევქარისტიისა. პირველი მომენტი დაკავშირებული იყო ფიზიკურ დაღლილობასთან, რომელიც განპირობებული იყო მცხუნვარე მზის ქვეშ გრძელი, მძიმე შვიდი კილომეტრის გავლით და დაუსრულებელი რიგებით (ხშირი იყო გულყრის შემთხვევაც). მაგრამ სურვილი პაპთან შეხვედრისა იმდენად ძლიერი იყო, რომ შევძელით გადაგველახა ყველა ეს სიძნელე და წინააღმდეგობა.

შეუძლებელია არ აღნიშნო ის აღფრთოვანება, რომელიც ჩვენ განვიცადეთ პაპთან შეხვედრის მოლოდინში, 500 000-ზე მეტი ბედნიერი, კმაყოფილი, მომღერალ-მოცეკვავე მომლოცველის ყურებისას დაბინდა კიდეც; ცა ზღაპრული ფეიერვერკების ცეცხლმა შეაზანზარა, აი, ეს იყო სანახაობა...

ემოციებით დაღლილი მომლოცველები მალე ღრმა ძილს მიეცნენ. დილით კი თითქმის ერთდროულად გაგვადვიდა მზის პირველმა სხივებმა და დილის ლოცვის ფსალმუნის სიტყვებმა. თითქოს თვითონ ღმერთი ჩამოვიდა ზეციდან ჩვენთან სასაუბროდ...

წმ. წირვის დასრულების შემდეგ პაპმა თავისი „პაპომობლით“ სულ ახლოს ჩაგვიარა, ისე რომ, ჩვენს ჯგუფს იმის საშუალებაც მოგვეცა ახლოდან დაგვენახა პაპი. საოცარმა გრძნობამ და სიხარულმა მოიცვა ჩვენი გულები და იმის მოლოდინში, რომ ნაწილი მომლოცველებისა დატოვებდა ტერიტორიას, ისევ სიმღერა და ცეკვა დავიწყეთ. ყველგან იგრძნობოდა ერთმანეთისადმი ზრუნვა და სიყვარული.

მეორე დღეს, იმავე ადგილზე, ნეოკატეხუმენური გზის ინიციატორების მიერ ისევ შედგა შეხვედრა სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდებთან. ამ შეხვედრას ესწრებოდა 100 000 ახალგაზრდა. აქაც, გაერთიანებულნი ერთი სულით, ვმღეროდით და ვცეკვავდით ფსალმუნების რიტმებზე.

შეუძლებელი იყო ემოციების შეკავება, როდესაც გოგონებისა და ბიჭუნების ნაკადი სცენისაკენ დაიძრა თავიანთ მოწოდებაზე ლორეტოს ეპისკოპოსისაგან კურთხევის მისაღებად. აღსანიშნავია, რომ მოწოდებაზე მოწვევას 2000 ყმაწვილი (სემინარიაში სასწავლებლად) და 1200 გოგონა (მონასტერში გასამგზავრებლად) გამოეხმაურა.

ეს იყო ცოცხალი დამოწმება სახარებისა, რომ იქ, სადაც ძმები იკრიბებიან იესოს სახელით, მოქმედებს სული წმიდა.

შესაძლებლობა იმისა, გველოცა იმ ჯვრის ქვეშ, საიდანაც თვითონ ღმერთი ელაპარაკა წმ. ფრანცისკეს, იყო მიზეზი სერიოზულად ჩაგვეხედა ჩვენს გულებში.

და ისევ რომის წმიდა ადგილებისა და ღირსშესანიშნაობების დათვალიერება. გაცვებისა და აღფრთოვანებისაგან გაბრუნებულებს თავი ისტორიის მონაწილეებად მიგვაჩნდა.

ერთ-ერთი საინტერესო და ყველა ქრისტიანისათვის მნიშვნელოვანი ადგილი, რომელიც იტალიის მიწაზე ჩვენი ყოფნის ბოლო საათებში მოვინახულეთ, კატაკომბები იყო. აქ, ხმაურიანი ქალაქიდან მოშორებით, შემორჩენილია პირველი ქრისტიანობის დროინდელი ატმოსფერო. მიწისქვეშა, მკვდრების ქალაქში კიბეებიზე ჩასვლისას თითქოს პირველქრისტიანთა სულის მოძრაობას ვგრძნობდით...

ვიმედოვნებთ, რომ ეს მომლოცველობა იქნება დამტკიცება იმისა, რომ იესო ჩვენს შორისაა, რომელიც თავისი სულით მიგვიძღვის მიწიერი ცხოვრების მომლოცველობისაკენ და, ასევე, მთავარი მიზნისაკენ – საუკუნო ცხოვრებისაკენ.

ანჟელიკა და სერგო მელიქ-მარუტოვები

დიაკვნად ხელდასხმა წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ტაძარში

წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ტაძარს თბილისში და მის მრევლს ნამდვილად არ აკლია დღესასწაულები, 8 სექტემბრის სადღესასწაულო წირვა კი სხვებისაგან განსხვავებული და უჩვეულო იყო, რადგანაც ამ ეკლესიაში პირველად ტარდებოდა სომხური წესის კათოლიკე ეკლესიის საზეიმო წირვა და მიხეილ ხაჩკალიანის დიაკვნად კურთხევა.

მრევლს კარგად ახსოვს მიშა – საკურთხეველთან მდგარი, რომელიც ხშირად წმიდა წერილის საკითხავებს კითხულობდა, მაგრამ ბევრმა არ იცის, სად „გაქრა“ იგი შემდეგ. ამიტომ შეგახსენებთ, რომ მიშამ თავისი ბედი მჭიდროდ დაუკავშირა ღმერთს და სწავლა დაიწყო ნოვოსიბირსკის სასულიერო სემინარიაში, ერთი წლის შემდეგ გადავიდა პეტერბურგში, ბოლოს კი თბილისში ჩამოვიდა და კათოლიკურ სემინარიაში გაიდრმავა თავისი ცოდნა. შემდგომ მიშა ერთი წლით სომხეთში მიავლინეს, სადაც გულმოდგინედ ემზადებოდა თავის მოწოდებაში განსამტკიცებლად.

ეკლესია საგულდაგულოდ იყო მორთული ლამაზი ყვავილებით და განწყობაც ყველას სადღესასწაულო ჰქონდა. მრევლიც უჩვეულოდ მრავალფეროვანი იყო. იგრძნობოდა შესამჩნევი აღმსარებლობით შეფარული მოლოდინი. ეს გასაგებია, რადგან დღეს აქ წმიდა წირვას ადავლენს და კურთხევის ცერემონიას წარუძღვება მთავარეპისკოპოსი, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სომეხ-კათოლიკეთა წინამძღვარი, ასევე, ირანისა და საბერძნეთის ეპისკოპოსი ნიშან კარაქევიანი, რომელიც საგანგებოდ ამ დღისათვის ერევნიდან ჩამოვიდა. მას თან ახლდა მღვდელი პეტროსიანი.

წმ. წირვას ესწრებოდა წმიდა საყდრის დესპანი ამიერკავკასიაში, მთავარეპისკოპოსი კლავდიო გუჯეროტი; ამიერკავკასიის ლათინური წესის

კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო; საქართველოში მოღვაწე ლათინური წესის მღვდლები და სემინარისტები, საქართველოში მოღვაწე თითქმის ყველა ორდენის მონაზვნები, მრავალრიცხოვანი სტუმარი სამცხე-ჯავახეთიდან (ახალქალაქი, ახალციხე, ტურცხი, წყალთბილა). წირვას ესწრებოდნენ მიშას მშობლები – ქალბატონი ლილია და ბატონი გიორგი.

აღსანიშნავია, რომ წირვას განსაკუთრებული ელფერი შესძინა მუსიკამ. სომხური გალობის ბრწყინვალე აღმოსავლურმა ხმიანობამ, მრევლი თითქოსდა პალესტინაში, ადრექრისტიანულ დროში დააბრუნა.

ისმოდა მაქარ ეკმალიანის, კომიტასის, აგრეთვე ახალგაზრდა კომპოზიტორის ელენე მარდიევას ჰიმნები, მიძღვნილი იესო ქრისტესადმი და წმ. მარიამისადმი, რომლის ტექსტები ეკუთვნის მამა ემანუელს. გალობას ასრულებდა პროფესიონალთა გუნდი, რეგენტის, ცნობილი მომღერლის, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორის ვილი გრიგორიანის ხელმძღვანელობით.

ღრმა, სულში ჩამწვდომმა მუსიკამ წირვას მეტი სულიერება, ხელდასხმის რიტუალს კი მეტი საიდუმლოება შესძინა. სწორედ ამ შესანიშნავი გალობის თანხლებით შემოვიდა ეკლესიაში მწირველთა რიგი. წმ. წირვა მამა ანატოლიმ მოამზადა და მანვე წარუდგინა მიხეილი მთავარეპისკოპოსს. შთამაგონებელი და კეთილი სურვილებით იყი აღსავსე მთავარეპისკოპოსის დამოძღვრა და დალოცვა მიხეილისადმი.

მშვიდობის მისაღმების დროს მიშამ თითქმის მთელ მრევლს ხელის ჩამორთმევით უსურვა მშვიდობა...

მიშა ცხოვრებაში ძალიან მოკრძალებული ახალგაზრდაა, საკუთარ თავზე საუბარი უჭირს, მაგრამ მაინც აღნიშნა, რომ ეს დღე ყველაზე ბედნიერია მის ცხოვრებაში და არასოდეს დაავიწყდება. და მას სწამს, რომ ღმრთის წყალობით, არჩეულ გზას არასოდეს გადაუხვევს.

ჩვენც ვუსურვებთ მიშას, არასოდეს განშორებოდეს სულიწმიდის მადლი!

ნადია ჩიტაძე

„კარიტასის პროექტები“

კონგრესი გუდაურში

სამხრეთ კავკასიის ფსმ-ს I რეგიონალურ სოლიდარობის კონგრესს კურორტ გუდაურში მდებარე სასტუმრო „სპორტმა“ უმასპინძლა. კონგრესის მთავარი მიზანი სამი ქვეყნის, კერძოდ, საქართველოს, სომხეთსა და აზრებაიჯანს შორის კავშირების გაღრმავება და განვითარების ხელშეწყობა იყო, აგრეთვე ფსმ-ის ორგანიზაციის ხალხთაშორისი ურთიერთობის გაძლიერება, რაც თავისთავად ამ ორგანიზაციის წინსვლას გულისხმობდა. კავკასიაში ფსმ-ის ორწლიანი მუშაობის გამოცდილებამ ცხადყო ამ სამი ქვეყნის მიღწევების საზეიმო ვითარებაში აღნიშვნის აუცილებლობა.

კონგრესი, მრავალფეროვნების გარდა, მრავალეროვნებითაც გამოირჩეოდა. ქართველების, სომხების და აზერბაიჯანელების გვერდით იყვნენ ჩეხი, ბულგარელი, იტალიელი, ამერიკელი, მოლდაველი, ესპანელი და სხვა ეროვნების ადამიანები. მათ საერთო მიზნები და საერთო საქმის კეთების სურვილი აერთიანებდათ.

კონგრესი 3-დან 6 სექტემბრამდე მიმდინარეობდა. კონგრესის პირველი დღე ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს ღოცვა-კურთხევით დაიწყო და ბოლომდე საქმიან ვითარებაში წარიმართა. ერთმანეთს ენაცვლებოდა საქართველოს,

აზერბაიჯანისა და სომხეთის ჯგუფების მიერ შესრულებული სამუშაოების პრეზენტაცია, რასაც მათ მიერვე გადაღებული ფილმების ჩვენება ცვლიდა. ბოლო არ უჩანდა საკითხის ირგვლივ დასმულ კითხვებს და, შესაბამისად, პასუხებსაც. სადამოს წირვა მთავარეპისკოპოსმა კლავდიო გუჯეროტიმ ადავლინა.

კონგრესის მეორე დღე დაეთმო საკითხს: “სოციალური სწავლება კათოლიკურ ეკლესიაში”. ამ პრობლემატიკაზე ძალზე საინტერესოდ ისაუბრა ჯოანა როზენჰაუერმა. მან ზუსტად და ამომწურავად გასცა პასუხი ყველა დასმულ კითხვას.

არანაკლები ინტერესით იქნა მოსმენილი და განხილული თემის „ფსმ-ის სტრუქტურა და მიმართულებები“ პრეზენტაცია. მიმდინარეობდა სამუშაო სემინარები. ამ დღეს გუნდები სხვადასხვა ეროვნებებით იყო წარმოდგენილი. თითოეულ ჯგუფს სიმბოლური სახელი ერქვა და “ტერიტორიულადაც” მსოფლიოს უდიდეს ქალაქებში “იმყოფებოდნენ”, თუმცა ეს ქალაქები, იმ დღეს მათთვის, სასტუმრო “სპორტის” სხვადასხვა ოთახებში მდებარეობდა.

სადამოს წირვის შემდეგ წარმოდგენილ იქნა ინტერნაციონალური კულტურა, რაც ამ სამი ქვეყნის ადათ-წესების, ცეკვების, სიმღერებისა და ნაციონალური თავისებურებების პრეზენტაციას დაეთმო.

ქართველების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ შესანიშნავად გაართვეს თავი ამ დავალებას და ისინი ერთადერთნი აღმოჩნდნენ, რომლებმაც არაჩვეულებრივად წარმოაჩინეს თავიანთი კულტურა, ძველი ადათ-წესების სიმბოლიკები, ქართული სამზარეულო და, რაც მთავარია, ქართული სტუმართმოყვარეობა. სასტუმროს ფოიეში არ გაუვლია ადამიანს, წუთით რომ არ შეჩერებულიყო და არ ეგემნა ქართული ნუგბარი: იქნებოდა ეს ხილი, ჩურჩხელა, თუ ფელამუში და მადლიერების ნიშნად ჭაჭის ან სანთლის არყით სავსე ყანწით თუ ფიალით არ დაელოცა ეს მზენათელი და დღეგრძელი ხალხი.

კონგრესის მესამე დღე სამომავლო გეგმებზე იყო ორიენტირებული. ბატონ ბობ შულკეს მოხსენება “ფსმ-ის ხედვა და სტრატეგია“ სწორედ ამ თემის გზამკვლევი გახდა.

ბოლო სამუშაო სემინარმა “ფსმ-ის თანამშრომლობა და მომავალი გეგმები” საკითხი უფრო ხელშესახები და მიღწევადი გახადა.

კონგრესი დასასრულს მიუახლოვდა, საუბარი კი ისევ მომავალს შეეხებოდა. გამოცხადდა “სამხრეთ კავკასიის ფსმ-ის” ლოგოზე გამოცხადებული კონკურსის შედეგი. ღირსეულთაგან ერთ-ერთმა გაიმარჯვა: კავკასიონი, ჯვარი, გული, ერთმანეთს გადაჭდობილი ხელები – ყველაფერი ის, რაც ამ სამი ეროვნების ადამიანებს აერთიანებთ.

დაბოლოს, საოცრად შთამბეჭდავი და კარგად ორგანიზებული ექსკურსია გერგეტის მონასტერში. ბუნების სილამაზით განცვიფრებულები მიუახლოვდით სტეფანწმინდას, აღტაცებით შევაველეთ თვალი “ხევის ბეთჰოვენს” და უფრო მალა, არწივების საუფლოსაკენ ავიღეთ გეზი, თითქოსდა მწვერვალებს გაგუთანაბრდით... მაგრამ გულში ერთი “მაგრამ” მაინც დაგვრჩა, – უდიდესი მყინვარწვერი ნისლს დაეფარა და მისი სიდიადის დანახვა ვერ შევძელით.

ამაყად დაგვხვდნენ ხევი და მოხევენი. XIV საუკუნის ბრწყინვალე ძეგლი – გერგეტის ტაძარი დგას მათი სიმშვიდისა და სიძლიერის დარაჯად. უკან დაბრუნებულებს გზამდე გვაცილებდნენ დღედათვლილი ზვაკები და ალპური ყვავილები; ნისლში გარინდული ხეობები და წითლად აბრდღვიალებული ძახველები. ასე დავემშვიდობეთ ხევს, მთიულეთს, ფასანაურს, გერგეტსა და ანანურს, თერგსა და არაგვს, გულში კი დავიტოვეთ ხელახალი შეხვედრის იმედი.

მადლობა ყველას, ასეთი ორგანიზებული შეხვედრის, ურთიერთობისა და ყველა გათვლილი ნიუანსის გამო.

მადლობა ყველას ამ ღამეში დღეების შემოქმედთ: ქალბატონებს ნაზი კვარჩიას, ლიანა მხეიძეს, ნანა კუხალაშვილს, თეა მაისურაძეს, ეკატერინე გეგიას, ქეთი ცქიტიშვილს და ვიარა ლაზაროვას იმ გადამდები განწყობილებისა და ღიმილისათვის, რაც მართლაც ასე ძალზე უხდებოდა ამ დღეებს.

**ნინო ჟენტი
ნანა მიზანდარი**

ქადაგება

რწმენის საფუძვლები

რელიგიურია ყველა ადამიანი... „ყოველი სული აქებდეთ უფალსა“ (ფსალმუნი).

ქრისტიანებო, წავიკითხოთ ბიბლია, ამოკრიფეთ მისგან ყოველი მარგალიტი და შევიცნოთ ღმერთი...

ბუდისტებო, წავიკითხეთ დჰამაპადა, ამოკრიფეთ მისგან მარგალიტები და შეიცანით ბუდა...

მუსლიმებო, წავიკითხეთ ყურანი, ამოკრიფეთ მისგან მარგალიტები და შეიცანით ალაჰი...

მარგალიტების ამოკრეფა კი ყველა მათგანში სიყვარულის დაუნჯებას ნიშნავს („გვიყვარდეს ერთმანეთი“).

რწმენა სინდისია...

სინდისი კაცთმოყვარეობაა...

სინდისი საფუძველია სინანულისა...

სინდისი საფუძველია ნათლისღებისა. ნათლისღება კი ადამიდან გამოსვლასა და ქრისტეთი შემოსვას ნიშნავს...

სინანული მეორედ ნათლისღებაა. „და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მივუტევეთ თანამდებთა მათ ჩვენთა“...

რელიგიურობა სიყვარულია. რელიგია დაკარგული კავშირის აღდგენას ნიშნავს, რაც ჩვენთვის – ქრისტიანთათვის – ქრისტეს შემეცნების გარეშე ყოვლად შეუძლებელია, რადგან თავად ქრისტეა სიყვარული. სინდისი საზომია ჩვენი ურთიერთობისა გარესამყაროსთან.

გავისვენოთ ერთი ადგილია სახარებიდან, როდესაც ვინმე ქალს ქვით ჩაქოლვას უპირებდნენ. „დაე, მან ესროლოს პირველად ქვა, ვინც ამაზე მეტად წმიდაა“, – ამბობს მაცხოვარი. ამ სიტყვებით გაიზომა ყველა იქ მყოფთა სინდისი, თავად იმ ქალისაც. ამ უკანასკნელში მან ქრისტესმიერი სიყვარულისა და ცხოველმყოფელი სინანულის სინთეზური გრძნობა გააღვიძა და ბოლომდე ქრისტეს მიმდევარი დარჩა.

დაოს არსი დაოშია მხოლოდ. იგი სიცარიელეა სისავსეში და ყველგანაა ის, ამ დროს არსად არ არის. „მზრუნველია დაო, სიყვარულია იგი და თავად არაფერზე არ ზრუნავს“. „დოქში შექმნილი სიცარიელე იძლევა დოქის არსების შემეცნებას“, – ასე ამბობს ლაო ძი. სიცარიელე კი მინდობის და უზრუნველობის სინონიმია. მინდობაა სისავსე ყოვლისა.

ისლამის ისტორიაში არსებობს ასეთი მაგალითი: მუჰამადი თავის 12 სიძეთა შორის დასვამს ასეთ კითხვას, თუ რამდენჯერ შეეძლოთ მათ პატიება შეურაცხყოფელთათვის. ყველასაგან განსაზღვრული პასუხი მიიღო მან, ზოგს ორჯერ შეეძლო პატიება, ზოგსაც სამჯერ, ზოგს ათჯერ, მაგრამ ყველაზე განუსაზღვრელი და კეთილისმყოფელი პასუხი მუჰამადმა უმცროსი სიძისაგან მიიღო. მან ასე უპასუხა: იქამდე, სადამდეც თქვენ ჩემი წყენინება არ მოგბეზრდებათ, მეც პატიება არ მომბეზრდებაო. უმცროსი სიძის, ამ

ასაკისათვის შეუფერებელმა, ბრძნულმა პასუხმა აღაფრთოვანა მუჰამადი (მუჰამადის უმცროსი სიძე ამ დროისათვის არასრულწლოვანი იყო).

სახარებასთან იდენტურია ზემოაღნიშნული ისტორიული ფაქტი: „შიდგზის მიუტევოთ, რაბი, თანამდებთა ჩვენთა?“, – ეკითხება ერთ-ერთი მოწაფე მაცხოვარს. „არა, შიდგჯერ სამოცდაათგზის“. ეს არ არის არითმეტიკული შიდგჯერ სამოცდაათი, ეს ნიშნავს: „მიუტევოთ უსასრულოდ“.

„გიყვარდეთ მოყვასნი თქვენნი, ვითარცა თავნი თქვენნი და გიყვარდეთ მტერნი თქვენნი“, – გვასწავლის იესო.

დგება უამი, როდესაც მთელი სამყარო მტრად ეჩვენება ადამიანს, განვიკითხავთ და ვლანძღავთ ყოველს და ყველაფერს, მაგრამ ერთი რამ აშკარაა:

- თავად ჩვენში თუ არ იშვა ქრისტე, იგი ჩვენთვის არ შობილა;
- ჩვენში თუ არ მოხდა მისი ნათლისღება, ეს დიდი საიდუმლოც დაკარგავს ჩვენთვის არსს;

- ჩვენში თუ არ მოხდა მეტამორფოზა – ფერისცვალება, ვერ ვიხილავთ იესოს ღვთიურ სახეს, ვერ შევიგრძნობთ მის ღვთიურ ბუნებას და იგივენაირად ვერ შეცნობილნი ვიქნებით მისი სრული ადამიანური არსისა;

- თუ ჩვენში არ მოხდა მისი ამაღლება, ვერ შევიმეცნებთ მის მისტიურ სიმაღლეთა უსასრულობას;

- ჩვენში თუ არ მოხდება მისი ბრწყინვალე აღდგომის შემეცნება, ისევ ადამში დავრჩებით და აღდგომის სიტკბოებას ვიქნებით მოკლებულნი.

დარწმუნებული ვარ, ყველას გახსოვთ სახარების ეპიზოდი მოწყალე სამარიტელისა და სამარიტელ ქალთან დიალოგი მაცხოვრისა.

„გიყვარდეთ მტერნი თქვენნი“...

იესომ დიდ ხუთშაბათამდე არაერთი მშვიდობისმყოფელი ქმედება განახორციელა მის მტერთა, მოყვასთა და გულგრილად მყოფ ადამიანთა მიმართ. მან მაგალითი გვიჩვენა სხვა სარწმუნოების ადამიანებთან ინტერპერსონალური დამოკიდებულებებისა და ურთიერთშორის ღმრთაებრივი სიყვარულისა. მაცხოვრის დიალოგი სამარიტელ ქალთან.

ძველი სჯულის მიხედვით, არამც თუ დიალოგის, არამედ „შალომის“, ანუ გამარჯობის, მისაღმების – „მშვიდობა თქვენთანა“-ს თქმის უფლება არ ჰქონდათ ნაზარეველებს სამარიტელებთან მიმართებაში. ამ აქტით იესომ ჩვენთვის, მოკვდავთათვის, თვალხილულად დაამსხვრია ყოველი ჩარჩო, ადამიანთა შორის კეთილგანწყობისა და სიყვარულის გზა გაგვიხსნა მან. ჩვენ კი ამ აქტიდან 2000 წლის შემდეგ სხვადასხვა ამბიციური, რელიგიური, უფრო სწორად არარელიგიური, პოლიტიკური თუ აპოლიტიკური თვალსაზრისით, არ გვინდა დიალოგის, ანუ რელიგიური, ქრისტიანული კავშირის აღდგენა.

ამ პატარა, თუმცა არც თუ ისე პატარა ქადაგების თუ წერილის წერის დროს გამახსენდა დიდი ფრანგი მწერლის ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის სიტყვები: „ყველაზე დიდი ნეტარება ამ ქვეყანაზე ადამიანთა შორის ურთიერთობაა“. ფედერიკო ფელინი ამბობდა: „ბავშვობა სამოთხეა, რომელსაც ყველა ადამიანი გადის ამქვეყნად“. დარწმუნებული ვარ, ამ ორ ციტატას საფუძველი სახარებისეული ჰქონდა. ალბათ, ყველას გვახსოვს, როგორ მოუწოდებს ქრისტე ხალხს: „გამოუშვით, მოვიდნენ ჩემთან ბავშვები“. როგორ ამახვილებს იესო ყურადღებას ბავშვური სულის მდგომარეობაზე, იგი ეუბნება ხალხს: „ვინც ამათ არ დაემსგავსებით, ვერ დაიმკვიდრებთ ცათა სასუფეველს“. ბავშვები ხომ თავისუფალნი არიან ზემოთხსენებული რელიგიურ-პოლიტიკური ამბიციებისაგან. ფედერიკო ფელინიმაც ამიტომ დაარქვა ბავშვობას სამოთხისმაგვარი პერიოდი, რომელიც ყველა ადამიანს გვეძლევა ჩვენი ამქვეყნიური ცხოვრების პირველ პარაგრაფში.

„ვიყვარებოდეთ ურთიერთ-არს, რათა ერთობით აღვიარებდეთ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა“... ამინ!

ანდრია ვაშაკიძე

სოციალური პრობლემები

აბორტი – მოლოქის თაყვანისცემა

1993 წელს ველინგტონის შტატში ჟდეოლ ბრინდმა გამოსცა ნაშრომი სათაურით “ხელოვნური აბორტი – მკერდის კიბოს რისკი”. მისი კვლევა ნიშანდობლივია ძირითადად შემდეგი დასკვნების გამო:

- კიბოს წარმოშობის საშიშროება იზრდება 800%-მდე იმ ქალებში, რომლებმაც 18 წლის ასაკამდე გაიკეთეს აბორტი;
- ყოველი შემდგომი აბორტისას კიბოს წარმოშობის ალბათობა იზრდება;
- სიმსივნური წარმონაქმნის მქონე ქალებს, აბორტის შემდგომ, კიბოს გაცილებით მძიმე ფორმა უყალიბდებათ, ვიდრე მათ, რომლებსაც არ გაუკეთებიათ აბორტი;

ამ სახის გამოკვლევა მიგვანიშნებს ღმრთის რჯულზე. ღმერთმა დაადგინა კანონი იმისთვის, რომ დაგვიცვას ჩვენ სულიერად და ფიზიკურად.

ხელოვნური აბორტი, ესაა ბაყალის (წარმართული ღმრთაების) თაყვანისცემა. რიტუალი გულისხმობდა პირველშობილი ბავშვის სრულად დაწვას. ბიბლიაში მეფეთა 4-ე წიგნის მე-16 და 21-ე თავებში საუბარია მოლოქის (ბაყალის) თაყვანისცემაზე, ხალხს სჯეროდა, რომ ამ სახის თაყვანისცემა წარმატებისა და აყვავების მომტანი იქნებოდა.

ბაყალის საკურთხეველი ადამიანის სხეულის ფორმის მსაგავსი იყო, მხოლოდ ხარის თავით. კერპს ხელები გამოწვდილი ჰქონდა წინ, შიგნით კი ცეცხლი ენთო. ბაყალის ქურუმები სვამდნენ ბავშვს კერპის (ქანდაკების) ხელებში, საიდანაც იგი ვარდებოდა ცეცხლში. ქურუმი ყოველთვის იყო 2 ან მეტი და აუცილებლად ქალი და მამაკაცი.

არც თუ ისე დიდი ხნის წინ არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ბაყალის სასაფლაო, სადაც 20 ათასზე მეტი ბავშვი იყო დამარხული.

ბიბლიაში ნათლადაა ნათქვამი, რომ ყოველი ბავშვი ღმრთის საჩუქარია. მეცნიერებმა კი არაჩვეულებრივი დამთხვევა დაინახეს მუცლად მყოფი ბავშვის განვითარებასა და ებრაულ დღესასწაულთა მიმდევრობას შორის:

გამოსვლის წიგნის მე-12 თავში აღწერილია პასექის დღესასწაული, იმართება პირველი თვის მეთოთხმეტე დღეს. ზეიმის დროს მაგიდაზე დებენ კვერცხს, რაც ახალი სიცოცხლის სიმბოლოა.

სამედიცინო ფაქტი: მეთოთხმეტე დღეს მწიფდება კვერცხუჯრედი

შემდეგი დღეს უნდა გაიმართოს უფუარობის დღესასწაული, წინააღმდეგ შემთხვევაში ზეიმი ჩაშლილად ჩაითვლება.

სამედიცინო ფაქტი: განაყოფიერება უნდა მოხდეს მომდევნო 24 საათის განმავლობაში

პირველნაყოფთა მოწვევის დღესასწაული იმართება 2-6 დღის შემდეგ.

სამედიცინო ფაქტი: განაყოფიერებული კვერცხუჯრედი კვერის საშვილოსნოს მომდევნო 2-6 დღეში

შვიდეულთა (ორმოცდაათობის) დღესასწაული დგება 50 დღის შემდეგ. ამ დღეს სულიწმიდით შეიქმნა ეკლესია.

სამედიცინო ფაქტი: ორმოცდამეათე დღეს ემბრიონი იღებს ადამიანისებურ ფორმას

გამოსყიდვის დღე – მეშვიდე თვის მეათე დღე. ეს ერთადერთი დღე იყო, როცა მღვდელმთავარი “წმიდათა წმიდაში” შედიოდა – სავანის შიგნითა ყველაზე საღვთო ნაწილში და იქ შესაწირავის სისხლს აპკურებდა.

სამედიცინო ფაქტი: ამ დღეს ჩვილის ძვლის ტვინი იწყებს წითელი სისხლის სხეულების გამომუშავებას

კარვობის დღესასწაული იმართება მეშვიდე თვის მეთხუთმეტე დღეს, ამ დღეს ღმერთმა ადამს შთაბერა სიცოცხლის სული.

სამედიცინო ფაქტი: ამ დღიდან მოყოლებული მუცლად მყოფ ბავშვს უკვე შეუძლია ისუნთქოს ჰაერით, მაგრამ იმისათვის რომ დაიბადოს ძლიერი და ჯანმრთელი მას სჭირდება კიდევ 80 დღე.

ზუსტად 80 დღის შემდეგ, მიძღვნის დღესასწაულია

“შემიყვარე ისეთმა, როგორიც ხარ!”

(ლოცვა ეძღვნება იმ ქალებისადმი, რომლებმაც აბორტი გაიკეთეს)

ვიცი შენი საჭიროებანი, შენი ბრძოლა, შენი სხეულის სისუსტეები. ვიცი შენი სირთულეები, შენი ცოდვები და, მიუხედავად ყველაფრისა, გეუბნები: **“მომეცი შენი გული, შემიყვარე ისეთმა, როგორიც ხარ!”**

თუკი ელოდები, როდის გახდები ანგელოზი, რათა შეძლო სიყვარული, მაშინ, ვერასოდეს შემიყვარებ. თუმცა, არ ხარ მხდალი და ყველაფერს, რაც გევალება, კეთილსინდისიერად აკეთებ; თუმცა, ხშირად ვარდები ცოდვაში, რომლის გამეორებაც აღარ გსურს, მაგრამ არ დაგუშვებ, რომ არ გიყვარდე!

შემიყვარე ისეთმა, როგორიც ხარ!

ყოველ წუთს, მიუხედავად იმისა, როგორ მდგომარეობაში იმყოფები, – ეჭვებში თუ გამოფიტული სულიერად, მართალი ხარ ან არ ხარ მართალი,

შემიყვარე ისეთმა, როგორიც ხარ! – მე მსურს შენი გასაცოდაგებული გულის სიყვარული, ვინაიდან, თუკი მანამდე მოიცდი, სანამ სრულყოფილი გახდები, ვერასოდეს შემიყვარებ.

განა არ შემიძლო თითო კენჭისგან სერაფიმი შემექმნა, ბრწყინვალე სიწმიდით, კეთილშობილებითა და სიყვარულით? თუ არ ვარ ყოველისშემძლე? მაგრამ თუკი მსურს, რომ ცაში დავტოვო ეს საოცარი არსებანი, რათა უპირატესად ჩავთვალო შენი გულის უბადრუკი სიყვარული – არ ვარ ყოველთვის სიყვარულის ბატონი?

შვილო ჩემო, ნება მომეცი შეგიყვარო, მე მხოლოდ შენი გული მინდა. რა თქმა უნდა, თანდათან მე მთლიანად მოგიპოვებ შენ, მაგრამ დღეს, მე მიყვარხარ ისეთი, როგორიც ხარ, და მსურს რომ შენც გიყვარდე ისეთს, როგორიც ხარ. მინდა დავინახო შენს საჭიროებათა მთელი უფსკრულიდან, როგორ ამოდის შენი სიყვარული.

მე მიყვარს შენში სისუსტეებიც კი, მე მიყვარს ღატაკთა და უბედურთა სიყვარული. მსურს, რომ მიწიერ საჭიროებათა სიღრმეებიდან დაუყოვნებლივ გავიგო ხმამაღალი ძახილი: “იესო, მე შენ მიყვარხარ!”

მსურს მხოლოდ ერთადერთი, – შენი გულის გალობა; არ ვსაჭიროებ შენს სიბრძნეს და ტალანტებს. მხოლოდ ერთია ჩემთვის მთავარი: **დავინახო, როგორ იღწვი სიყვარულით.**

არ მსურს შენი კეთილი საქმეები, თუკი ამას მოგცემ, იმდენად სუსტი ხარ, რომ კეთილი საქმეები მხოლოდ გამოკვებავს შენს ამპარტავნებას, მაგრამ ნუ ზრუნავ ამაზე; მე შემეძლო შენთვის წინასწარ განმესაზღვრა დიდებული საქმენი, მაგრამ არა – შენ უვარგისი მონა იქნები, და წაგართმევ იმ მცირედსაც კი, რაც გაგაჩნია, იმიტომ რომ მე მხოლოდ სიყვარულისთვის შეგქმენი.

დღეს შენი გულის კართან ვდგავარ როგორც ლატაკი – მე, უფალთა უფალი! გეძახი და გელოდები! – იჩქარე, კარი გამიღო! ნუ გადაერთვები მხოლოდ ამქვეყნიურ საჭიროებებზე. ბოლომდე რომ იცოდე შენი უბედურება, ტკივილისგან მოკვდებოდი.

ისე არაფერი მტკენს გულს, როგორც შენი დაეჭვებული გულის დანახვა, რომ არ ხარ დარწმუნებული ჩემში. **მსურს რომ ყველაზე უმნიშვნელო საქმეც კი ჩემი სიყვარულით გააკეთო.** მე წინასწარვე ვიცი, რომ დიდ სიხარულს მომანიჭებ!

ნუ განიცდი, რომ არა ხარ კეთილისმოქმედი – მე გჩუქნი ჩემსას. თუკი ტანჯვა მოგიწევს, ძალასაც მოგცემ ამისთვის. თუ შენს სიყვარულს მანუქებ, უკან იმდენს დაგიბრუნებ, რომ საბოლოოდ მიხვდები რას ნიშნავს გიყვარდეს, – გაცილებით მეტს, ვიდრე შენ ამის აღქმა შეგიძლია. **იფიქრე მხოლოდ ერთადერთზე, შემეყვარო ისეთმა, როგორიც ხარ!**

მე დედაჩემი მოგეცი. მიეცი ყველაფერი, ჰო ყველაფერი, მის წმინდა გულს! რაც უნდა მოხდეს, ნუ დაელოდები სანამ წმინდა გახდები, რომ სიყვარული შეძლო; ასეთ შემთხვევაში – ვერასოდეს შემეყვარებ.

ახლა კი წადი!

ეკუმენური გვერდი

კონფესიებს შორის განსხვავება დიდი სიმდიდრეა

2007 წლის 3-7 სექტემბერს, ურეკში, საქართველოში სომხური სამოციქულო ეკლესიის ინიციატივითა და ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მხარდაჭერით, ასევე, საქართველოში მოქმედ ლათინური წესის კათოლიკეთა, ევანგელურ ბატისტთა, ევანგელურ ლუთერანთა მონაწილეობით, აგრეთვე, კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს წარმომადგენლებთან და მთავარ რაბინთან თანამშრომლობით ჩატარდა სხვადასხვა რელიგიათა და კონფესიათა ახალგაზრდების შეხვედრა.

შეხვედრა ეძღვნებოდა ეკუმენიზმსა და ინტერრელიგიურ ურთიერთობებს. თემები ძირითადად გააშუქეს მამა ნარეკ კუშიანმა და ლევონ ისახიანმა. მათ ისაუბრეს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს შექმნის ისტორიაზე, მის სტრუქტურასა და ფუნქციებზე, ასევე, ეკუმენური მოძრაობის ისტორიასა და მის მნიშვნელობაზე.

შეხვედრაში მონაწილე ახალგაზრდებმა წარმოადგინეს საკუთარი რელიგიური საკრებულოები და, შეძლებიდაგვარად, მოაწყვეს პრეზენტაციები.

ჩატარდა საგულისხმო შეხვედრა კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს წარმომადგენელთან საქართველოში დაზი ახუნდ ალი ალიევთან; წმიდა საყდრის დესპანთან ამიერკავკასიაში, მთავარეპისკოპოს კლავდიო გუჯეროტისთან; საქართველოში მოქმედი სომხური სამოციქულო ეკლესიის წინამძღვართან, ეპისკოპოს ვაზგენ მირზახანიანთან, რომელმაც საზეიმო ვითარებასი ახალგაზრდებს გადასცა სერტიფიკატები.

შეხვედრა ყურადსაღები იყო ურთიერთობების თვალსაზრისით. დაისვა მრავალი შეკითხვა. გაიმართა საინტერესო დისკუსია სამომავლო გეგმებსა და ურთიერთთანამშრომლობასთან დაკავშირებით. ახალგაზრდები საშური

ენერჯითა და მონდომებით ჩაებნენ დისკუსიაში და მრავალი საყურადღებო იდეები გამოთქვეს მომავალი შეხვედრებისა და ერთობლივი საქმიანობის შესახებ.

დამთავრდა შეხვედრა ურეკში, რომელიც ნაყოფიერი და საინტერესო გამოდგა, მაგრამ ამით არ დასრულებულა ახალგაზრდების ურთიერთობა და ის თბილისშიც გაგრძელდა.

8 სექტემბერს პროექტში მონაწილე ჯგუფი ევანგელურ ლუთერელებს შედგა შეხვედრა ეპისკოპოს, დოქტორ იოჰანეს ლაუნჰარდტთან. მან ახალგაზრდებს მოუწოდა ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობისაკენ. შეხვედრამ გულთბილ ატმოსფეროში ჩაიარა. ამავე დღესვე მოეწყო შეხვედრა სახალხო დამცველ სოზარ სუბართან და ტოლერანტობის ცენტრის ექსპერტთან ბექა მინდიაშვილთან. მათი მხრიდან იყო საინტერესო შემოთავაზებები სამომავლო ურთიერთთანამშრომლობასთან დაკავშირებით.

14 სექტემბერს ახალგაზრდების ეკუმენური ჯგუფი სომხურ სამოციქულო ეკლესიას ესტუმრა. მამა ნარეკ კუშიანმა სტუმრებს სომხური ეკლესიის ისტორია, მისი არქიტექტურული თავისებურებანი და ლიტურგიკული წესები გააცნო. ამავე დღეს ჯგუფი თბილისის მეჩეთსაც ეწვია, სადაც გულთბილი შეხვედრა შედგა კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს წარმომადგენელთან საქართველოში დაზი ახუნდ ალი ალიევთან. სადამოს კი ახალგაზრდები მარიამის ზეცად აღყვანების კათოლიკეთა საკათედრო ტაძარს ეწვივნენ. ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორმა, მამა ჯუზეპე პაზოტომ, წმ. წირვის შემდეგ გულთბილად მიიღო ახალგაზრდები და მათ შორის საგულისხმო საუბარი გაიმართა. კერძოდ, მეუფემ აღნიშნა, რომ კონფესიებს შორის განსხვავება ნაკლი კი არაა, არამედ დიდი სიმდიდრეა, და რომ ახალგაზრდებმა ერთად უნდა აკეთონ კეთილი საქმეები.

ნინო ჭანტურია

ინფორმაცია

საყოველთაო ღოცვა მშვიდობისათვის

მესამე ათასწლეული საზარელი ტერორისტული აქტით დაიწყო. 2001 წლის 11 სექტემბერს მძლავრი საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციის ალ-ქაიდას ტერორისტმა კამიკაძეებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში რამდენიმე ფართომასშტაბიანი, არნახული ტერაქტი მოაწვევეს, რომლის შედეგადაც 3 ათასზე მეტი უდანაშაული ადამიანი დაიღუპა. ალქაიდას ლიდერები მიზნად ისახავდნენ შიშის ხარი დაეცათ ამერიკელებისათვის (არადა, ამ ტერორისტული ორგანიზაციის ლიდერი ათწლეულით ადრე ამერიკის სპეცსამსახურების მიერ იყო გამოწვრთნილი და დაფინანსებულიც) და მან ეს მოახერხა. მათ სამიზნედ ამერიკის ეკონომიკური სიძლიერის სიმბოლო ე.წ. „ტყუპები“ ნიუ-იორკში აღმართული წყვილი ცათამბრჯენი აირჩიეს.

ამ ტერაქტმა შესძრა არა მხოლოდ ამერიკა, არამედ მთელი მსოფლიო. 11 სექტემბერმა შეცვალა მსოფლიო. გაქრა მითი ამერიკელთა დაცულობისა და გააერთიანა მსოფლიოს ქვეყნები საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ. ამერიკაში 11 სექტემბრის შემდგომ დღეებში გაძლიერდა ანტიისლამური გამოსვლები. უბრალო ამერიკელთა დიდმა ნაწილმა მიიჩნია, რომ 11 სექტემბრის ტერაქტში ზოგადად მუსლიმები იყვნენ დამნაშავენი. ორიოდ დღის შემდეგ პრეზიდენტი ჯ. ბუში საგანგებოდ ესტუმრა ნიუ-იორკის მთავარ მეჩეთს და თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა ამერიკელ მუსლიმთა პატრიოტიზმს, მშვიდობისმოყვარეობას, მათ მნიშვნელოვან როლს ქვეყნის ერთიანობაში. პრეზიდენტმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ ალქაიდა და სხვა ტერორისტული

ორგანიზაციები ზოგადად რელიგიის და კონკრეტულად ისლამი დოგმების წინააღმდეგ მოქმედებენ და კიდევ ერთხელ აღნიშნა რომ ტერორიზმს არ გააჩნია სამშობლო და ეროვნება. ჯ. ბუშის ამ გამოსვლის შემდგომ ანტიისლამური გამოსვლები და განწყობა მინიმუმამდე შემცირდა.

11 სექტემბერმა საფუძველი დაუდო მსოფლიოს ახალ პოლიტიკას. დაეცა ავღანეთისა და ერაყის ავტორიტარული რეჟიმები, გაიტრუნენ ლიბიისა და სირიის ლიდერებიც, რომლებიც მანამდე აშკარად თანაუგრძნობდნენ საერთაშორისო ტერორისტებს და ბაზებს უთმობდნენ მათ საიდუმლო წვრთნებისათვის. ანტიამერიკული პოლიტიკაში არაბული ქვეყნების აშკარა მხარდამჭერმა რუსეთმაც შეწყვიტა ახლოაღმოსავლეთის აგრესიულ სახელმწიფოთა მხარდაჭერა და გარეგნულად მიემხრო კიდაც აშშ-ს მიერ წარმოებულ ანტიერაყულ კომპანიას.

11 სექტემბრის ტერაქტის შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა ცალმხრივად, მაგრამ მაინც იმოქმედეს საქართველოზეც. საქართველოს ხელისუფლების მიზანდასახული პოლიტიკის წყალობით საგრძნობლად გაიზარდა ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალების დაფინანსება. ქართველი სამხედრო მოსამსახურეები მონაწილეობას იღებენ ავღანეთსა და ერაყში სამშვიდობო მისიის შესრულებაში. ყოველივე ამ ფაქტორმა კი შეუწყო ხელი ქართული არმიის პოტენციალის ზრდას.

11 სექტემბრის ტერაქტმა ხელი შეუწყო ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის, დიალოგის გაფართოებას. თუმცა ამ ორი უდიდესი მსოფლიო რელიგიის დაახლოებაზე საუბარი ჯერ მეტად ნაადრევია, მაგრამ დიალოგი უკვე კარგა ხანია მიმდინარეობს. ქრისტიანული და ისლამური სახელმწიფოები ერთად თანამშრომლობენ საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ. ეს გარემოება კი მრავლისმეტყველია. მრავალი ისლამისტი დარწმუნდა, რომ ტერორისტთა მიზნები უპირველესად მუსლიმთა კეთილდღეობას ვნებს.

11 სექტემბრის შემდგომ ისრაელმაც შეცვალა პოზიცია და 38 წლის წინ ოკუპირებული დაზას სექტორი დაუბრუნა პალესტინელ არაბებს. ებრაელთა დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, დაანგრია დაზაში აგებული საცხოვრებელი სახლები და სინაგოგები, რათა იქ პალესტინელები დაბრუნებოდნენ თავიანთ მამა-პაპათა მიწებს.

და მაინც, როდესაც 2001 წლის 11 სექტემბერს ვიხსენებთ, უპირველესად ეს არის პროტესტი ტერორიზმის წინააღმდეგ, ხსოვნა უდანაშაული მსხვერპლთა და სურვილი მშვიდობის, ურთიერთნდობის აღდგენისა.

უკვე მეექვსე წელია მსოფლიო 11 სექტემბერს, ამერიკელებთან ერთად იხსენებს ტერაქტის მსხვერპლთ და მათ ხსოვნას პატივს მიაგებს. ეს არის დღე მსოფლიოს გაერთიანებისა ტერორიზმის წინააღმდეგ, ისევე, როგორც ამ საუკუნის წინ მსოფლიოს მემარცხენე ორგანიზაციებმა 8 მარტი აქციის მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ქალთა საერთაშორისო ერთიანობის დღედ.

მთელი მსოფლიოს დარად, საქართველოშიც რელიგიური თუ საერო ორგანიზაციები მეექვსე წელია აღნიშნავენ 11 სექტემბერს, აღავლენენ ერთობლივ ღოცვებს ტერორისტული აქტის დროს დაღუპულთა სულებისადმი, კიდევ ერთხელ უცხადებენ თანაგრძნობას შეერთებული შტატების მოქალაქეებსა და ხელისუფალთ.

მიმდინარე წლის 11 სექტემბერს თბილისის ევანგელურ-ბაპტისტურ საკათედრო ტაძარში შეიკრიბნენ ფართო საზოგადოების წარმომადგენლები: რელიგიური ლიდერები, სამთავრობო თუ არსამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, პოლიტიკოსები, ხელოვნების მოღვაწეები, საქართველოში აკრედიტებული საელჩოების თანამშრომლები, – ყველა ის, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა, სათნოება და კეთილი ნება.

მშვიდობისათვის ერთიან ლოცვას წარმართავდა მთავარეპისკოპოსი მაღსაზ სონღულაშვილი. სიტყვებით გამივიდნენ: თბილისის ჯუმა მეჩეთის მოლა ვაგიფ აკპეროვი, საქართველოს პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ბატონი კოტე გაბაშვილი, საქართველოს სახალხო დამცველი ბატონი სოზარ სუბარი სხვა ოფიციალური პირები.

მშვიდობისათვის მიძღვნილ მსახურებაზე მთავარეპისკოპოსმა მაღსაზ სონღულაშვილმა აკურთხა სპეციალურად ამ ლოცვისადმი მიძღვნილი ფრესკა – იესო ქარისტე ხალხთა მხსნელი. ახლად ნაკურთხმა ფრესკამ ამიერიდან ევანგელურ-ბაპტისტურ კათედრალში დაიდო ბინა და ხალხთა მხსნელი მაცხოვარი მუდამ შეახსენებს მსახურებაზე შეკრებილ მორწმუნე ერს, რომ მშვიდობისათვის ზრუნვა ყველა ადამიანის, განურჩევლად მისი მსოფლმხედველობისა თუ მრწამსისა, უპირველესი ვალია.

მშვიდობისადმი მიძღვნილ ერთიან ლოცვას ესწრებოდნენ საქართველოში მოქმედი რომის წმინდა სამოციქულო კათოლიკე ეკლესიის წარმომადგენლები.

ნუგზარ ბარდაველიძე

საუკუნო განსვენება მიანიჭე მას, უფალო!

თინა აღოშაშვილი

* 1938 წ. 1 ნოემბერი, უდე

† 2007 წ. 9 სექტემბერი, უდე

გურამ ნადირაძე

* 1938 წ. 22 აგვისტო, თბილისი

† 2007 წ. 19 სექტემბერი, თბილისი

ნახვამდის, გურამ!

იქნებ უცნაურადაც მოეჩვენოს ვინმეს, მაგრამ ყველაზე უკეთ ამ წუთში ჩემს განწყობას მშვენიერი ხალხური ბალადის ფრაზით (დედა ვეფხვებთან მეომარ შვილს რომ დასტირის) გამოვხატავ: „შენ არ ხარ სატირალია!“

გურამ, შენ ისეთი ადამიანი იყავი, ვისაც, ჩემი აზრით, უფლება ჰქონდა იესოს სიტყვებით ეთქვა: „მე ვძლიე სოფელს!“ შენი არისტოკრატიზმით, დახვეწილი კულტურით, ღრმა ინტელექტითა და სულიერი განვითარებით, ვფიქრობ, სიკვდილი თავად დაამარცხე და უკვდავებაში, მარადიულ ნეტარებაში

გადასახლდი. ამიტომაც, ტირილისა რა ვთქვა, მონატრებით კი ძალიან, ძალიან მოგვენატრები, მათ შორის „საბას“ მკითხველებსაც, რომლებსაც ჩვენი გაზეთის დაარსების პირველ წლებში (ათიოდე წლის წინ) თეოლოგიურ-ფილოსოფიური ძიებებით აღბეჭდილ, ღრმად ინტელექტუალურ წერილებს სთავაზობდი, პირველი მათ შორის იყო – „პიროფლიანი“, როგორც სავიზიტო ბარათი თქვენი პიროვნული მშვენიერებისა.

არ გემშვიდობები, ჩემო მეგობარო! ძალიან, ძალიან შევეცდები უკვდავებისაკენ მიმავალი გზა არც მე გავიმრუდო და იმედს ვიტოვებ, როცა იქნება და როგორც იქნება, უთუოდ შევხვდებით ერთმანეთს. ჩემი აზრით, სასუფევლის ნეტარებისათვის ისიც საკმარისია, შენისთანა მართალი, სუფთა და განვითარებული სულის გვერდით დაიმკვიდრო ადგილი.

ნახვამდის!!!

მანანა ანდრიაძე

ახალგაზრდული გვერდი

მოხალისეთა ხალისიანი ყიჟინა ხიზაბავრაში

“უსასყიდლოდ მივიღიათ და უსასყიდლოდვე გაეცით“, – ამ დევიზით შევიკრიბეთ 1-დან 8 სექტემბრამდე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან 15 ახალგაზრდა, რომელთაც სურვილი გვქონდა, სხვათათვის დახმარება აღმოგვეჩინა. გვინდოდა, დავხმარებოდით იმათ, ვინც ამას ყველაზე მეტად საჭიროებდა.

ვიცოდით, რომ ხიზაბავრაში ბევრი უმწეო მოხუცი ცხოვრობდა, რომელთაც ჩვენი დახმარება სჭირდებოდათ, მაგრამ ადვილზე ჩასულებმა აღმოვაჩინეთ, რომ მოსაწესრიგებელი იყო როგორც ეკლესიის, ისე იმ სახლის მიმდებარე ტერიტორიაც, სადაც მღვდლები ცხოვრობდნენ.

ჩვენ მამა პავლე დილის ხელმძღვანელობით ვმუშაობდით და ყველა მის დავალებას დიდი ენთუზიაზმით ვასრულებდით. მამა პავლეს ჩვენს გვერდით მუშაობდა და თან გვმოძღვრავდა, როგორც კეთილი მწყემსი.

ხიზაბავრაში მართლაც ბევრი უმწეო მოხუცი იყო, მათგან უმეტესს სამედიცინო დახმარება ესაჭიროებოდა. ალბათ, ღმრთის ნებით, ჩვენი ერთ-ერთი მოხალისე ოზურგეთიდან ექთანი იყო და ყოველ დილა-საღამოს დაუხარებლად დადიოდა ამ მოხუცებთან და ისეთი დიდი სიყვარულით ემსახურებოდა მათ, როგორც კეთილი სამარიტელი. ამასვე ვაკეთებდით მთელი ჯგუფი და მამა პავლეს მეთაურობით ვცდილობდით მივყოლოდით წმიდა პავლეს წერილს, რომელიც წერდა გალატელ და რომაელ ქრისტიანებს: “არავის არაფერი დაგედოთ ვაღად, გარდა ერთმანეთის სიყვარულისა, ვინაიდან სხვისი მოყვარული ასრულებს რჯულს” (რომ. 13, 8). ასეთივე სიყვარულით გვექცეოდა სოფლის მოსახლეობაც. ჩვენ მათი უზარმაზარი სიყვარული გამოგვყვა თან. ყოველ დღით მოხუცები და ბავშვები ნობათით დატვირთულები მოდიოდნენ ჩვენთან და თან ტკბილ სიტყვასა და ლოცვასაც არ გვაკლებდნენ, რისთვისაც უაღრესად მადლიერები ვართ მათი.

ჩვენს წასახალისებლად მამა პავლემ საინტერესო ექსკურსია მოგვიწყო ვარძიაში, რომლის დროსაც არ გვინელდებოდა უზარმაზარი შთაბეჭდილებები.

დღეებმა ისე სწრაფად გაიბრინა, რომ ვერც კი გავიგეთ, როგორ დასრულდა ჩვენი მოხალისეობა და დადგა სახლებში დაბრუნების დღეც, მაგრამ წინ კიდევ ერთი ულამაზესი დღე გველოდა – შობა უწმიდესი ქალწული მარიამისა, რომელიც ყოველ წელიწადს დიდი ზეიმით აღინიშნება ვაღეს საკრებულოში. ამ დღეს ყველანი ვაღეში გავემგზავრეთ და მონაწილეობა მივიღეთ წმიდა წირვაში, რომელიც საზეიმოდ აღევლინა 8 სექტემბერს და რომელშიც სამხრეთ საქართველოს კათოლიკური სამრევლოების ბევრი მომლოცველი იღებდა მონაწილეობას. მადლობას ვუხდით ვაღეს ეკლესიის მოძღვარს ამ შესანიშნავი დღისათვის.

შინ დაბრუნებულებს გამოგვყვა დიდი სითბო და მადლიერების გრძნობა ყველა მათ მიმართ, ვინც ეს მშვენიერი და შინაარსიანი დღეები მოგვიწყო, განსაკუთრებით კი და ლორედანას და მამა პავლეს და ჩვენს უშუალო მასპინძელს, მამა ზიგმუნდს, რომელმაც სიყვარულით მიგვიღო და გულთბილად გვიმასპინძლა. არ დაგვავიწყდება ხიზაბავრელების მიერ გამოჩენილი სითბო და სიყვარულიც, რომლებმაც არაფერი დაიშურეს, რათა ჩვენი მოხალისეობის დღეები დატვირთული და ნაყოფიერი ყოფილიყო.

ახალგაზრდებს კი მოვუწოდებთ, რომ ყოველდღიურ ლოცვებში შესთხოვონ ღმერთს, რათა მათ გულებშიც გადვიდეს მოყვასისადმი ზრუნვის სურვილი – მოხალისეობის სული, რადგან ჯერ კიდევ ბევრია ისეთი ადამინი, რომლებიც შემწეობას ითხოვენ და ჩვენი დახმარება ესაჭიროებათ.

მოდით ყველანი ერთად ვიქცეთ ღმრთის კეთილი საქმეების დამამოწმებლად დედამიწაზე!

არდადეგები ბათუმში

ახალგაზრდებს, რომლებიც წელს აბასთუმანში ანიმატორებად და მომსახურე პერსონალის დამხმარეებად ვმუშაობდით, ჯილდოდ ბათუმში გატარებული ერთკვირიანი, მზიანი და მშვენიერი დღეები გვხვდა წილად. ქალაქი დღითიდღე ლამაზდება და მშვენიდება. ის საქართველოს თვალწარმტაცი კუთხის – აჭარის მართლაც რომ ძვირფასი მარგალიტია, ამიტომ გასაგებია, ასე რატომ მიგვიხაროდა ბათუმში.

არდადეგების დღეები, ჩვენდა მოულოდნელად, მამა არტურმა მოგვიწყო. ასე რომ, ჩვენ, სამხრეთ საქართველოს (ვალე, არალი, უდე, ახალციხე, ხიზაბავრა) ახალგაზრდების ჯგუფი 2 სექტემბერს ვალეში შევიკრიბეთ და წმიდა წირვის დასრულების შემდეგ ბათუმისაკენ გავეშურეთ.

ბათუმი ხელგაშლილი მასპინძელივით შეგვხვდა. ამ დროს ზღვაზე მართლაც რომ „ხავერდოვანი“ სეზონი იდგა. სოფელ კახაბერში მდებარე „იმედის სახლმა“ ახალგაზრდები გულთბილად მიგვიღო. მისმა ხელმძღვანელობამ და მომსახურე პერსონალმა არაფერი დაიშურეს, რომ დასვენების დღეები მშვენიერი და ნაყოფიერი ყოფილიყო.

მართალია, ბათუმში დასასვენებლად ვიყავით ჩასულნი, მაგრამ არ გვაგიწოდებოდა გველოცა ყოველ დღით და ყოველ ცისკარზე პირველად ღმერთს შევხვედროდით. გამამხნევებელი ვარჯიშის შემდეგ ვსაუზმობდით და ყველანი პლაჟისაკენ მივიჩქაროდით. სადილი თან მიგვქონდა. ჩვენთან ერთად იმყოფებოდა მამა არტური, რომელიც ყურადღებას არ გვაკლებდა, გვეხმარებოდა, რათა დრო ნაყოფიერად და ლამაზად გაგვეტარებინა. ბევრმა ჩვენგანმა ცურვა არ იცოდა და მამა არტურის დახმარებით ყოჩაღებმა ესეც მალე ისწავლეს. სადამოს მოშიებულები და გარუჯულები „იმედის სახლში“ ვბრუნდებოდით სავახშმოდ. გემრიელი ვახშმის შემდეგ კი ბათუმის ბულვარში ვსეირნობდით და ვტკბებოდით მოცეკვავე შედრებნების ცქერითა და ბათუმის სილამაზით. სახლში, ემოციებით დატვირთულნი, გვიან ღამით ვბრუნდებოდით.

იმედი მაქვს, მომავალ წელსაც გვექნება ერთად დასვენების საშუალება სხვადასხვა საკრებულოების ახალგაზრდებს.

ამ მშვენიერი დღეებისათვის კი, მთელი ჯგუფის სახელით, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მამა არტურს და „იმედის სახლის“ მთელ პერსონალს.

თამრიკო ჩიტაშვილი

სარჩევი

რედაქციის გვერდი
კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში
კათოლიკე ეკლესია საქართველოში
ქალაგება
სოციალური პრობლემები
ისტორიის ფურცლები
ეკუმენური გვერდი
ინფორმაცია
ახალგაზრდული გვერდი

საგანგებო ჩანართი:
ქრისტიანული სიმბოლოები

რედაქცია:

მამა გაბრიელე ბრაგანტინი
ნუგზარ ბარდაველიძე
ნატო ბიგვავა
ვერიკო ნოზაძე
მერაბ ღაღანიძე
ზაზა შათირიშვილი
ციცინო ხითარიშვილი

მისამართი:
თბილისი, გია აბესაძის ქ. №4
ტელ.: 98-95-16
რეგისტრაციის № 1853
დაარსდა 1994 წ.
მანანა ანდრიაძის მიერ
© „საბა“, 2007

საგანგებო ჩანართი

ქრისტიანული სიმბოლოები

„ყოველი სიტყვა და ყოველი სახელი სიმბოლური ნიშანია. სიმბოლო ყოველთვის უფრო ვიწროა, ვიდრე ის, რის სიმბოლოცაა იგი წარმოადგენს. სიმბოლი ზეპული სიმბოლოში მუდამდებია, თუმცა თავისი შინაგანი მოცულობითა და ენერგეტიკული პოტენციალით სიმბოლოზე მეტია. სიმბოლო მხოლოდ საგნების თვისებებს ავლენს. რაც უფრო არსებითია ეს თვისებები, მით უფრო იზრდება სიმბოლოს მნიშვნელობა, და რაც უფრო უკეთ ახასიათებენ ისინი საგანს, მით უფრო მკვეთრი და შთამბეჭდავია სიმბოლოს ღირსება“.

არქიმანდრიტი რაფაელი

სიმბოლო მხოლოდ გამოხატვის საშუალება კი არაა, არამედ ყოფიერების საიდუმლოა. იგი ალეგორიისა და ემბლემისაგან უპირველესად იმით განსხვავდება, რომ მისი არც შეთხზვა შეიძლება და არც შედგენა. ის იმ გარემოში არსებობს, რომელიც ადამიანთანაა დაკავშირებული და კაცობრიობის განზოგადოებულ შეგნებაში, განსაკუთრებით შემოქმედებით შემეცნებაში ვლინდება; ალეგორია კი გარეგნულ მსგავსებას ემყარება და ხელოვნურად ქმნის სახეს. სიმბოლო მრავალმნიშვნელოვანი და მრავალწახნაგოვანია. მას მუდმივი, მყარი ხასიათი აქვს.

ყოველივე ზემოთქმული, რა თქმა უნდა, რელიგიურ სიმბოლოცაა ეხება, მაგრამ მას თავისი განსაკუთრებული საფუძველი აქვს. მიწიერსა და სულიერ სამყაროს ერთი შემოქმედი ჰყავს. მიწიერის (კოსმოსის) მიზანია ფერიცვალება, განსულიერება და სულიერ სფეროსთან ერთიანობის მიღწევა. მიწიერი სამყარო სული წმიდის მადლით სულის პლერომასა და მარადიულობის ეონში უნდა გადავიდეს, შემაერთებელი რგოლი კი მათ შორის ადამიანია – ხატი და მსგავსი

ღმრთისა. იდეაში ეს უკვე განხორციელდა, როდესაც ძე ღმრთისამ კაცობრივი ხორცი შეისხა. ესქატოლოგიური თვალსაზრისით, ეს პროცესი მაშინ დასრულდება, როდესაც, პეტრე მოციქულის თქმით, ქვეყანა დაიწვება, მაგრამ არ მოისპობა, არამედ იქნება ახალი ცა და ახალი მიწა (2 პეტრე, 3, 10-13). ამიტომ ღმრთისმეტყველები ხედავენ მსგავსებას სულიერსა და მატერიალურს შორის, მაგრამ ეს მსგავსება თავისებურია – ღმრთაებრივი სიბრძნით შექმნილი მატერიალური სამყარო სიმბოლოთა იერარქიულ სისტემას წარმოადგენს და ამ სიმბოლოებში ჩადებულია ინფორმაცია მარადიულისა და მარადისობის, სოფლისა და მისი შემოქმედის დანიშნულების შესახებ.

სიმბოლო მხოლოდ კოდირებულ ინფორმაციას კი არ შეიცავს, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, კომუნიკაციის თვისებებსაც. სიმბოლოთა სისტემების საშუალებით ადამიანი სულიერი ცხოვრების სამყაროში ერთვება, მონაწილეობს მასში. სიმბოლო მხოლოდ მარადისობაში შეიძლება შევიცნოთ, როდესაც განცხადდება კოსმოსის, მისი დინამიკური სტრუქტურების, ენერგეტიკული სუბსტანციებისა და და სახე-იდებების მიზნობრივი დანიშნულება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სიმბოლო მომავლიდან წარსულისაკენ მიმართული მზერით შეიცნობა, ამქვეყნიურ ყოფაში კი მხოლოდ მისი დანიშნულებაა შესაძლებელი, მისი იეროგრაფიული გამოცანის ამოხსნა წარმოუდგენელია. ჩვენთვის მნიშვნელოვანია სიმბოლოს საკომუნიკაციო უნარი, ანუ ადამიანის ჩართვა რწმენისა და ნების გზით სიმბოლოსა და წესჩვეულების სფეროში, რათა მათი მეშვეობით ღმრთაებრივი მყოფობის სიდრმეებს შეეხოს. ეკლესიური სიმბოლოები არც წარსულის გახსენებაა და არც მომავლის წარმოდგენა, ესაა სივრცობრივ-დროითსა და სულიერ-მარადიულ კატეგორიებს შორის გადებული ხიდები.

სიმბოლო არის კავშირი და ურთიერთქმედების საშუალება მატერიალურსა და სულიერს, წარმავალსა და მარადიულს, შექმნილსა და ხელთუქმნელს, შემოსაზღვრულსა და აბსოლუტურს შორის.

ბიბლიური შესაქმის ერთ-ერთი თავი მითითებებს გვაძლევს სიმბოლოს თვისებების შესახებ:

– დაბადება თანდათან, ეტაპობრივად მიმდინარეობდა, უმდაბლესისაგან უმაღლესისაკენ.

სიმბოლო დინამიკურია; მსგავსება სიმბოლოსა და სიმბოლიზებულს შორის არამარტო სტრუქტურული, არამედ დინამიკური ხასიათისაა. სიმბოლო იერარქიულია: სიმბოლოები ფასეულობათა სისტემათა და გნოსტიკური წვედომის საფეხურებს წარმოადგენენ. სიმბოლო პერსპექტიულია: წარსული მოვლენა აწმყოში შეიძლება გაიხსნას და მომავლის სიმბოლო იყოს.

– დაბადებას აქვს მიზანი – სამყაროს ღმერთამდე აღზევება.

სიმბოლოს მიზნობრივი იდეა აქვს, ამიტომ ადამიანების ჩართვა რიტუალურ სიმბოლიკაში მისი განსულიერებისა და ფერისცვალების დასაწყისია.






– მიწას მოცემული აქვს სიცოცხლის წარმოქმნის ძალა, იგია სიცოცხლის სუბსტრატი.

სიმბოლოს აქვს თავისი ენერგეტიკული სუბსტანცია, რომელიც სიმბოლიზებული ენერგეტიკული სუბსტანციის მსგავსია. ამიტომ სიმბოლოს საშუალებით სული ენერგეტიკულად სიმბოლიზებულს უკავშირდება. ადამიანის შექმნა არის სიმრავლის შექმნა ერთის მეშვეობით, ადამიანის მოღვმის საფუძველზე.

სიმბოლოს განზოგადებული და განმაზოგადებელი ხასიათი აქვს. ის ყველა დროისა და ყველა ხალხისათვის გასაგებია, თუმცა სხვადასხვა დონეზე მუდგანდება, რომელიც კოსმიურობითა და უნივერსალობით ხასიათდება. ამ მსგავსებას, რომელიც ადამიანის მოღვმის ერთიანობიდან გამომდინარეობს და

მის შემეცნებით ძირებს ასახავს, ხშირად ქრისტიანობაში წარმართობის შეღწევად მიიჩნევენ. მაგრამ აქ გასათვალისწინებელია, რომ ქრისტიანობა ვერ გამოიგონებდა ახალ სიმბოლიკას, რაღაც ხელოვნური ენის „ესპერანტოს“ მსგავსს, რადგან იგი ადამიანებისათვის გაუგებარი და უცხო იქნებოდა.

ქრისტიანობამ ზოგადსაკაცობრიო სიმბოლიკა მიიღო და თავისი ღრმა აზრი ჩაღო შიგ. ძველი აღთქმის ტაძარშიც და წარმართულ სამყაროშიც ანთებდნენ ტაძრებში ჩირაღდნებს, მსხვერპლს სწირავდნენ ღმერთს, ლოცვებს ადავლენდნენ, მაგრამ იქ მიზნობრივი იდეები და წარმოდგენები სიმბოლიზებულის შესახებ დამახინჯებული იყო. ახალი აღთქმისა და ძველი აღთქმის სიმბოლიურ ენებს შორის ურთიერთმიმართება და გენეტიკური კავშირი შენარჩუნებულია, მაგრამ ახალი აღთქმის სიმბოლიოები უფრო ღრმაა და იერარქიულად უფრო მარალ საფეხურზეც დგანან.

რაც შეეხება სიტყვა „სიმბოლო“ ეტიმოლოგიურ მნიშვნელობას. ბერძნული სიტყვა   ნიშნავს ( ) – გადაგდება, მოგვა, მოხვეტა;  – რამდენიმე ადამიანთან ერთად რაიმეს გადაგდება, მაგ. მეთევზეები ბადეს აგდებენ). მოგვიანებით ბერძნებთან ის აღნიშნავს ყოველგვარ ნივთიერ ნიშანს, რომელსაც ჰქონდა პირობითი, საიდუმლო ხასიათი გარკვეული ჯგუფისათვის, მაგალითად, ცერერას, ციბელას და მითრას თაყვანისმცემელებისათვის. ესა თუ ის ნიშანი () სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ რელიგიური კორპორაციების განმასხვავებლად გვევლინებოდა. სიტყვამ „სიმბოლო“ საყოფაცხოვრებო ტერმინოლოგიაში შეცვალა უფრო ძველი გამოთქმა  (ნიშანი, მიზანი, ზეციური ნიშანი). კიდევ უფრო გვიან საბერძნეთში  უწოდებდნენ იმას, რასაც დასავლეთში – აგრიტიო – ნომერი, ბილეთი, რათა მიეღოთ უფასოდ პური სახელმწიფო მარაგიდან. სიმბოლო ეწოდებოდა, ასევე, თანამედრობის აღმნიშვნელ ბეჭდებს, წარმოდგენების ბილეთებს, რომაულ ტეხარებს (ტესსარაე – ჩამოკიდებული დაფები, რომლებზეც წერდნენ სამხედრო ბრძანებებს). ქრისტიანობის წარმოშობის შემდეგ სიმბოლიოები ეწოდებოდა საერთო კრებაზე მიღებულ დადგენილებებს. თანამედროვე გაგებით სიტყვა „სიმბოლო“ აერთიანებს ბერძნულ სიტყვა  (პირობითი ნიშანი, თვისება, ემბლემა, სიმბოლიური ნათქვამი და სხვ) და ზმნის  (შეკრება, მიერთება, შეწყობა, შეხვედრა, თანხვედრა და სხვ) შინაარსს, რომელთა შეერთებითაც უფრო მკვეთრად ჩანს მისი აზრი.

ქრისტიანული სიმბოლიკის წარმოშობა მრავალმა ფაქტორმა განაპირობა. ქრისტიანთა დევნა, მათი მოძღვრების სირთულე და მისი საიდუმლო ხასიათი მოითხოვდა, რომ ეს მოძღვრება დაფარული ყოფილიყო არა მხოლოდ გარეშეთათვის, არამედ ახალმოქცეულთაც მისი საიდუმლოებები თანდათანობით უმჟღავნდებოდათ.

წმიდა კირილე იერუსალემელი ამბობს: „სახარების მოსმენა ყველასთვის ნებადართულია, მაგრამ მადლი სახარებისა მხოლოდ ჭეშმარიტ ქრისტიანებზე გადმოდის, ამიტომაც მათ, რომელთაც არ შესწევთ ძალი გაგებისა, უფალი იგავებით ესაუბრებოდა, მოწაფეებს კი ცალკე უხსნიდა იგავებს, რადგან ის, რაც შუქია და მადლი ნათელდებულთათვის, სიბრმავეა ურწმუნოთათვის. ყოველი საიდუმლო, რომელსაც ეკლესია გაუწყებს შენ, კათაკმეველობის გამსრულებელს, არ გაენდობა წარმართს, არ გადაეცემა მას საიდუმლო სწავლება მამაზე, ძეზე და სულიწმიდაზე. თვით კათაკმეველებსაც არ ველაპარაკებით საიდუმლოებების შესახებ პირდაპირ და ხშირად ბევრ რამეს შეფარვით ვამბობთ, – მცოდნე მორწმუნეები გულისხმაყოფენ, უცოდინრებს კი არა ევნებათ რა“.

ქრისტიანულ სიმბოლიოში ერთმანეთს ხვდება და ერთიანდება ორი რეალობა – მატერიალური და სულიერი, ფიზიკური (სიმბოლიოს „გარეგნული

სახე“) და მეტაფიზიკური (სულიერი შინაარსი). ასეთი ერთიანობა არ გამოირიცხავს „გრძობადი“ და „გონითი“ სამყაროს სხვადასხვა ბუნებას, ამასთან გვეხმარება გადავჭრათ მათი წინააღმდეგობა. ამისი გაგება წინააღმდეგობათა დამთხვევის დიალექტიკითაა შესაძლებელი. მართალია ეს ორი სამყარო განუისაზღვრელადაა დაშორებული, მაგრამ ისინი მაინც არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. იმიტომ რომ, „გრძობადი“ სამყარო ღმერთის შექმნილია და ახლობელია შემოქმედისათვის, მათი ერთიანობა არა მარტო შესაძლებელია, აუცილებელიცაა, თანაც ძე ღმერთისა და ძე კაცისა ქრისტეს სახით უკვე განხორციელებულია.

სიმბოლო ადამიანს მატერიალური სამყაროს საშუალებით სულიერთან აზიარებს „ხილული“ და „უხილავი“ ქრისტიანობის ფუნდამენტური დიხოტომია (დიცხოტომია – მთელის გაყოფა ორად). სწორედ მის გამოა საჭირო სიმბოლოს, ანუ „ხატის“ მედიაცია. სიმბოლო ემსახურება ღმრთაებრივ საიდუმლოთა გაცხადებას, რომელთა აღწერა და გამოსატვა სხვა გზით შეუძლებელია. საერთოდ, აღსანიშნავია, რომ ყოველი რელიგიური და მითუმეტეს, მისტიკური მოძღვრება იძულებულია შექმნას საკრალურ ნიშანთა და სიმბოლოთა სისტემა, რომლის გარეშე შეუძლებელია მისი გამოუთქმელი შინაარსის აღწერა. ამასთან, ქრისტიანული სიმბოლოებით გამოწვეული სულიერი ზემოქმედება პრინციპულად განსხვავებულია სხვა რელიგიებში არსებული სიმბოლოებით აღძრული განცდებისაგან.

სიმბოლოს „გარეგნული მხარე“ კი გადმოსცემს სულიერ რეალობას, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ ჰგავს მას. სიმბოლო გამოსახვის რეალისტური ფორმა არ არის, რომ მის პირველსახესთან მაქსიმალური მსგავსება მოვითხოვოთ. მისი აზრი, იდეა და შინაარსი არ მომდინარეობს გარეგნული სახიდან, ის ბევრად უფრო მრავლისმომცველია. ამიტომ არ არის აუცილებელი მისი გარეგნული მხარის გალამაზება. იგი უნდა იყოს არსებითი და ორიგინალური, ამასთან, შესაძლებელია, უბრალო და სქემატურიც. სიმბოლო უნდა მიუთითებდეს მისგან სრულიად განსხვავებულ საგანზე და ყურადღებას უნდა ამახვილებდეს ამ საგნის არა გარეგნულ მხარეზე, არამედ შინაგანზე, არსებითზე.

სიმბოლოს გარეგნული მხარე ყველასათვის გასაგები, საყოველთაო უნდა იყოს. მისი გადატვირთვა ზედმეტი დეტალებით და წვრილმანებით, ფლორენსკის აზრით, მიუთითებს სიმბოლოს შემქმნელის არასაკმარის სულიერ გამოცდილებასა და თვალთახედვაზე. საღმრთისმეტყველო სისტემის სირთულე სულაც არ არის სიმბოლოს ჭეშმარიტი სიმდიდრე და, ამიტომ, გარეგნული დეტალიზაცია ქრისტიანული სიმბოლოს შემთხვევაში უადგილოა, რადგანაც ის შინაგან სიღარიბედ გვევლინება. ასეთ სიმბოლოს ღმერთამდე ამაღლება კი არ შეუძლია, არამედ პირიქით – იგი მხოლოდ კვებავს მის გარეგნულ შთაბეჭდილებას.

მართალია, სიმბოლო გარეგნულად არ ჰგავს იმას, რასაც გამოსახავს, მაგრამ ნებისმიერი სახის მაინც არ შეიძლება იყოს. ქრისტიანული სიმბოლიკა ემორჩილება კანონიკურ ფორმებს, რომლებიც შექმნილია წმიდა მამების გამოცდილებისა და ჭეშმარიტად საეკლესიო ტრადიციების საფუძველზე.

სიმბოლოს უნდა ავსებდეს „ცხოვლისმყოფელი სითხე“. სწორედ ამით განსხვავდება იგი ნიშნისა და აღეგორიისაგან. ეს უკანასკნელები ადამიანის მიერ თვითნებურადაა ნაწარმოები. ადამიანი თვითნებურად დებს მათში ამა თუ იმ შინაარსს, შესაბამისად ისინიც სხვაშიც თვითნებურად იწვევენ ყოველგვარ განყენებულ წარმოდგენებს, მათ თვითნებურად აღიქვამენ. სიმბოლოს კი ახასიათებს აზრობრივი სიბრძნე და სულიერი დაძაბულობა, რომლებიც მოგვიწოდებენ შემეცნების, ღმერთის გააზრებისა და ზნეობრივი განახლებისაკენ.

სიმბოლოს მთავარი დანიშნულებაა მოამზადოს და ადამაღლოს ადამიანი მისტიურ, სულიერ ჭერეტამდე, აზიაროს ყოფიერების იმ სფეროს, რომელსაც თვითონ წარმოადგენს. სიმბოლო მნიშვნელოვანი სულიერი ზემოქმედების მფლობელია. ის, რომ სიმბოლო ვერ უტოლდება თვალსაჩინოებით ფერწერას, ხოლო მოცულობით სკულპტურას, სულაც არ ამცირებს მის ღირსებას. პირიქით, სწორედ იმიტომ რომ, სიმბოლო გაურბის სინამდვილის უშუალო იმიტაციას, მას ძალა შესწევს გამოხატოს უფრო მეტი, ვიდრე ჩვეულებრივი გრძობადი აღქმის საშუალებით გვეძლევა. თანაც ის არა მარტო გამოხატავს, არამედ გვიხსნის კიდევ, მისაწვდომს ხდის სულიერი აღქმისათვის. სიმბოლო არ შეიძლება იყოს მკვდარი, ცარიელი ან უნაყოფი, ის რეალურად განუყოფელია მიზნისაგან, უმაღლესი რეალობისაგან, რომელსაც ის წარმოადგენს. ამიტომ ჩვეულებრივი გაგება სიმბოლოსი, როგორც რაიმე თვითამომწურავი ჭეშმარიტებისა თუნდაც ნაწილობრივ, ძირფესვიანად მცდარია.

განუყოფელია კავშირი ქრისტიანული სიმბოლოს გარეგნულ სახესა და მის მადლმოსილ შინაარსს შორის, რომელიც პოტენციურად დევს მასში. სიმბოლოს ასახსნელად ფლორენსკის მოჰყავს სარკმლის მაგალითი: სარკმელს, რომელიც სინათლეს ატარებს არაფერი აქვს საერთო სინათლის ბუნებასთან. სინათლის გარეშე ის უბრალო ხე და მინაა. სინათლე რომ შენობაში შემოვიდეს, აუცილებელია ხე და მინა, როგორც აუცილებელია სიმბოლოს გარეგნული მხარე, რათა ეს უკანასკნელი იქცეს მოქმედად, მადლმოსილი სინათლის თანამოზიარედ. ამრიგად, სიმბოლო არის ჩვენთვის სარკმელი, რომლიდანაც ღმრთაებრივი სინათლე გარდმოედინება. ასეთია ყოველი ეკლესიური სიმბოლო.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადზე უცხადესია, რომ ქრისტიანობა იმ შემთხვევაშიც გამოიყენებდა სიმბოლოებს, ექნებოდა მის დევნას ადგილი თუ არა. თუმცა დევნამ და საკუთარი მოძღვრებების მტრებისაგან დაფარვის აუცილებლობამ ადრექრისტიანულ სიმბოლიკას განსაკუთრებული მიმართულება და ხასიათი შესძინა. შეიქმნა სიმბოლური ენა, რომელსაც ნეტარი თეოდორიტე საიდუმლო და მისტიკურ ენას უწოდებდა.

სიმბოლური ენის მთავარი საფუძველი შედგებოდა სახარებისეული იგავებისა და წმიდა წერილის ალეგორიული გამოთქმებისაგან. აღმოსავლეთის განწყობა მიმართული იყო მისტიკური და ალეგორიული განმარტებებისადმი, რაც უხვ მასალას წარმოადგენდა ახალი ენისათვის, განსაკუთრებით იუდეველებში შეიმჩნევა ეს ტენდენცია, ამიტომ სიმბოლურ ენებში მოხვედრილ სიტყვებში, დასახელებებში და გამოთქმებში ჩვენ ვხედავთ იმავე ალეგორიულ საფუძველს. მაგრამ სიმბოლური ენა არ დაკმაყოფილებულა მხოლოდ ამ ელემენტით, მან მიმართა გამოსახვის ახალ ხერხს – გამოსახულებას.

სიმბოლურ ენას აქვს ორი ხერხი სრული აზრის გამოსახატად. პირველი შედგენილია პირობითი სიტყვებისაგან, განსაკუთრებული მოკლე მიხვედრებისაგან, რომლებიც სრულიად გასაგებია იმ ქრისტიანებისათვის, რომელთაც იციან ქრისტიანული მოძღვრების ყველა საიდუმლო, მაგრამ ამავე დროს, სრულიად გაუგებარია გარეშე პირთათვის. მეორე ხერხი შედგება პირობითი ნიშნებისაგან და გამოსახულებებისაგან, რომლებიც გვხვდებიან ქრისტიანულ ძეგლებზე. გამოხატვის ეს ორივე ხერხი გვხვდება ერთად, თითქოს ავსებენ ერთმანეთს, მაგრამ მათი წარმოშობა არ უნდა მივაკუთვნოთ ერთ დროს. როგორც ჩანს, ჯერ სიმბოლური სიტყვები უნდა წარმოშობილიყვნენ, შემდეგ კი გამოსახულებები, როგორც პირველის შევსება და გაუმჯობესება.

სიმბოლური ენა სწრაფად განვითარდა, როგორც თავად ეკლესია, რადგანაც სიმბოლური ენის წყაროები უკვე დიდი ხანია მზად იყო გამოყენებისათვის. ამ ენის დანიშნულება იყო ეკლესიის სწავლების საიდუმლოდ შენახვა, იმ დოგმატების დაფარვა გარეშე პირთათვის, რომლებიც

განსაკუთრებულად იყო მიჩნეული. ეს განსაზღვრავდა ცნებების წრეს, რომელთა გარშემოც თავს იყრიდა სიმბოლური ენის გამოთქმები და მისი ნიშნები. ისინი ეხებოდნენ იმ რვა საიდუმლო საგანს, რომლებიც განსაზღვრული იყო საეკლესიო კანონით: 1. ნათლობის საიდუმლო, 2. ზეთისცხების საიდუმლო, 3. ხელდასხმის საიდუმლო, 4. ზიარების საიდუმლო, 5. ლიტურგია, 6. მოძღვრება წმიდა სამებაზე, 7. რწმენის სიმბოლო და 8. უფლის ღოცვა.

ცალკე და ღრმა კვლევის საგანია სიმბოლური ენის პირველი ხერხი – სიმბოლური გამოთქმები. მართალია, ისინი სიმბოლური ენის მეორე ხერხთან – სიმბოლურ ნიშნებთან უშუალო კავშირშია, მაგრამ ჩემი განხილვის საგანი მხოლოდ სიმბოლური ნიშნები იქნება. ამასთან დაკავშირებით, რამოდენიმე სიტყვით შევეხები პირველქრისტიანულ ხელოვნებას, რომელიც ორგანულ კავშირშია სიმბოლურ გამოსახულებებთან. ქრისტიანობის პირველივე საუკუნეებიდან, როცა ქრისტიანები დევნას განიცდიდნენ და კატაკომბებში ეწეოდნენ ღმრთისმსახურებას, პირველი ქრისტიანები გაუბედავი და დაუხელოვნებელი ხელით გამოსახავდნენ თავის იდეებს უბრალო ფიგურებით, სიმბოლური სახეებით, რომელთაც კვეთდნენ და კაწრავდნენ საფლავის წარწერების გვერდით, გაღერებისა და ნიშების კედლებზე, სარკოფაგების ბარელიეფებზე, ქვებზე, წმ. ჭურჭელზე და შესამოსელზე. ახალი რელიგია აკურთხებდა შემოქმედ სულს, რომელიც მოკრძალებული უბრალოებით ღრმად აკვირდებოდა გარემოს და მასში შეიცნობდა ქრისტიანული სამპიპოსტასიანი ღმერთის, შემოქმედის, გამომხსნელის და მაკურთხებლის კვალს. ქრისტიანის მჭვრეტელი სულისათვის მთელი ბუნება, ადამიანის მთელი ცხოვრება გახდა ხსნაზე, გამოსყიდვაზე ახალი სწავლების სიმბოლო.

კატაკომბების ხელოვნება არ არის წმიდა საფლავთა ხელოვნება, რომელიც ერთად შედგება მხოლოდ სიმბოლური გამოსახულებებით. ეს, ძირითადად, რწმენის სამსახურში ჩაყენებული ხელოვნებაა. მიწისქვეშა ტაძრების თემატიკა, როგორც წმინდა სიმბოლური, ასევე, სიუჟეტურიცაა და უმრავლეს შემთხვევაში შეესაბამება ძველ და ახალ აღთქმისეულ, საღმრთისმსახურო და წმიდა მამათა ტექსტებს. პირველი საუკუნიდან ჩვენამდე მოაღწია გამოსახულებებმა: ნოე კიდობანში, დანიელი ღომის ხახაში, ტრაპეზი; მეორე საუკუნიდან მრავალი გამოსახულებაა ახალი აღთქმის თემიდან: ხარება, შობა, ნათლობა და სხვ.

მრავალი პირდაპირი გამოსახულების გვერდით განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სიმბოლოების ენას, რაც, პირველ რიგში, აიხსნება იმით, რომ ხელოვნების საშუალებით ცდილობდნენ გამოესახათ ჭეშმარიტება, რომლის უშუალოდ გამოსახვა შეუძლებელია. მეორე მხრივ მიღებული იყო არ გაემხილათ კათაკმეველთათვის განსაზღვრულ ღრმადე ქრისტიანობის ძირითადი საიდუმლოებები. მათთვის ქრისტიანული სიმბოლოების აზრის გამხელა თანდათანობით ხდებოდა.

ასევე, ეკლესიისა და გარემოს ურთიერთობაც მოითხოვდა განსაკუთრებულ პირობით ენას, რადგან მტრული წარმართული სამყაროსათვის საიდუმლოებების გამხელა არახელსაყრელი იყო დევნილი რელიგიისათვის.

პირველი ქრისტიანები იყენებდნენ ბიბლიურ სიმბოლოებს: კრავი, ნოეს კიდობანი და ა. შ. მაგრამ მოქცეული წარმართებისათვის ისინი უცხო და გაუგებარნი იყვნენ. მაშინ, რათა მიეახლოებინათ ისინი ჭეშმარიტების გაგებისათვის, ეკლესიამ მიიღო ზოგიერთი სხვა სიმბოლოც, რომელთაც შეეძლოთ გადმოეცათ მისი სწავლების ჭეშმარიტებანი, მაგრამ ეკლესია თავდაპირველად წმენდა მათ წარმართული შინაარსისაგან, აღადგენდა მათ თავდაპირველ, ჭეშმარიტ აზრს და აყენებდა გადარჩენის გზაზე.

პირველ ქრისტიანულ ხელოვნებაზე ახლანდელი წარმოდგენებით მსჯელობა ისევე შეუძლებელია, როგორც იმ დროის ავტორებზე გვიანი

ღმრთისმეტყველებიდან. ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში სიმბოლოები – კრაფი, თევზი და სხვა – უეჭველად აუცილებელნი და სასარგებლონი იყვნენ. ქრისტიანობაში ადამიანებმა მიიღეს გამოცხადება, რომელიც უსაზღვროდ აღემატებოდა ყოველგვარ ადამიანურ გამომხატველობის საშუალებებს. ყველაფერი, რაც ადამიანებმა შეძლეს ეთქვათ ან გამოესახათ, საკმარისი არ აღმოჩნდა მის გადმოსაცემად. და მაინც, აუცილებელი იყო მისი გადმოცემა ქრისტეს აღთქმის თანახმად (მარკ. 16, 15). ეკლესიის წინაშე იდგა ამოცანა: ეპოვა სიტყვები და სახეები, რომლებიც გარკვეულ დონეზე გადმოსცემდნენ იმას, რაც თავისი არსით გამოუსახავია. მეორეს მხრივ, ჭეშმარიტება უნდა გაემხილათ ერთისათვის და დაემაღლათ მეორესაგან, თანდათანობით გაეხსნათ მეგობრებისათვის და დაემაღლათ მტრებისათვის. თუ ამ სიძნელეებს გავითვალისწინებთ, იმ დროის სიმბოლიკა აღარ მოგვეჩვენება სახეების ან ცნებების თამაშად, მეტნაკლებად განყენებულად და ცარიელად. ჩვენ დავინახავთ ამ სიმბოლიკაში აგებულ სისტემას, რომელიც გაუღენთილია ხარებით გადარჩენის საიდუმლოთი, როგორც მთლიანად, ასევე, თითოეული მისი ნაწილიც. ამ სიმბოლურმა ენამ თავისი ამოცანა შეასრულა, რადგანაც სწორედ მისი საშუალებით გაემხილა უამრავ ადამიანს ქრისტიანობა, რომლებიც აღზარდა და აკურთხა და რომელთაგანაც უამრავი წამებული გამოვიდა. სწორედ ამ, ჩვენთვის გაუგებარი, და არათანამედროვე ენაზე აღიზარდნენ ეს წმიდანები საკუთარი მოქცევის მომენტიდან მოწამებრივ სიკვდილამდე.

ასე რომ, ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში საეკლესიო ხელოვნების სიმბოლიკა ძირითადად იკონოგრაფიული იყო, ანუ სიმბოლოები იყვნენ თავად გამოსახული საგნები: თევზი, ვაზი, ან ისტორიული სცენები, რომლებიც სიმბოლურ შინაარსში ჯდებოდნენ, როგორც მაგალითად ლაზარეს აღდგინება – სიმბოლო მომავალი საერთო აღდგომისა. ყოველი ასეთი სიმბოლო, როგორც გამოსახვის ფორმა, ერთხელ ნაპოვნი და მიღებული მთელი ეკლესიის მიერ (მაგ. თევზი), აღარ იცვლებოდა და გამოიყენებოდა მთელ ქრისტიანულ სამყაროში. ის შედიოდა სიმბოლური ენის შემადგენლობაში და გასაგები იყო ყველა ქრისტიანისათვის, მიუხედავად მისი რაციონალობისა და კულტურისა.

(გავრძელება იქნება)

ანდრია ვაშაკიძე